[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრონშტადტის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისით 14—76. სტამბის—ღამით—[illegible]

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. ... კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 8 ივნისი 1921 წ.

№ 79 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 79

## საქართველოს კ. პ. ც. კ.

აცნობებს საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ა. წ. 15 ივნისისთვის ქ. თბილისში დანიშნულია სამაზრო და სარაიონო კომიტეტების მდივნების თათბირი. დღის წესრიგში შემდეგი კითხვებია:

1. მოხსენება ხელმძღვანელ ინსტრუქტორების განყოფ.
2. მოხსენება საპრ. აგ. ტაც. განყოფ. ც. კ.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. ქალთა განყოფ. მუშაობაზე.
5. სოფლად მუშაობაზე.
6. პროფ. კავშ. მუშაობაზე.
7. პარტ. კომ. და რევ. კომ. ურთიერთშორის დამოკიდებულებაზე (ამას. კომ.).
8. სამაზრო და სარაიონო კონფერენციებზე.
9. მიმდინარე საქმეები.

წინადადება ეძლევათ ყველა მდივნებს დაესწრონ თათბირს დანიშნულ ვადაზე.

ც. კ. მ. ა. თუმანოვი.

## საჭირბოროტო საკითხი

მიმდინარე პარტიულ საქალაქო კონფერენციაზე წამოიჭრა დღევანდელი ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხი, რომლის გარშემო დატრიალდა მთელი კონფერენციის ფიქრი და ზრახვა.

ეს საკითხია სასურსათო საკითხი. ეს საკითხი იპყრობს დღეს, როგორც საბჭოთა საქართველოს მთელ ყურადღებას, ისე ყველა მის მეზობელ და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებისას.

მთავარი საკითხი წამოყენებული კონფერენციაზე ამხ. ფილიპე მახარაძისაგან თავის მოხსენებაში—პარტიის მიზანდანიშნულებასა და საბჭოთა აღმშენებლობისა—ერთიანათ დაჩრდილა მეორე საკითხით, რომელიც შექმნილ კრიტიკული მდგომარეობით არის წამოყენებული და ზღაპრული სფინქსივით თავს დაგვძახის: „ამხსენით, თორემ შთანგთქავთო“!

და მართლაც, მდგომარეობა ასეთია: მუშურ გლეხურ რესპუბლიკაში მუშები და გლეხები მოითხოვენ ნივთიერ დაკმაყოფილებას იმდენათ მაინც, რომ ფიზიკური არსებობა შეინარჩუნონ. აბა ამის წინაშე რა უთქვის მუშურ-გლეხურ მთავრობას! ის მთელი თავისი ძალღონით ცდილობს სავსებით დააკმაყოფილოს ეს სამართლიანი მოთხოვნილება და მით დაამტკიცოს კიდეც, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა არა მარტო სიტყვით არის მუშურ-გლეხური, არამედ საქმითაც.

მაგრამ მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მისი სურვილი, მისი ცდა და მტკიცე გადაწყვეტილება პრაქტიკაში უშედეგოთ რჩება: მუშები ისევ შიმშილობენ, გლეხები კვლავ შიშველ ტიტველნი რჩებიან!

და აი ამ ნიადაგზე ერთი მხრით ფრთები გაშალა ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფების ათასნაირმა პროვოკაციამ, მითქმა-მოთქმამ და ღვარძლიანმა, მტრულმა საიდუმლო ჩურჩულმა—აგიტაციამ, ხოლო მეორე მხრით თვით ჩვენსავე ჯერ კიდევ „გაუწმენდელ“ და გაუმაგრებელ წრეებში დაიბადა ერთგვარი უკმაყოფილება, „ბუზღუნი“ და ვითომდა ოპოზიციონური „კრიტიკა“.

მაგრამ კონფერენციის დიდმა უმრავლესობამ და მისმა გამომხატველმა ორატორებმა ხელაღებით, კომუნისტურათ ჩახედეს პირდაპირ თვალებში ამ „საშინელებას“ და პირდაპირ, დაუფარავათ დააყენეს კითხვა: საიდან, რა გზით შეუძლიათ დღეს საბჭოთა სახელმწიფოებს, მუშურ-გლეხურ მთავრობებს დააკმაყოფილონ ეს მუშურ-გლეხური, საჭირბოროტო აუცილებელი მოთხოვნილება.

საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობა ერთი მხრით რომ ზომებს ღებულობს ერთიანათ აღკვეთოს და აღმოფხვრას ამ ნიადაგზე აღმოცენებული ანტიკომუნისტური აგიტაცია-პროვოკაცია, კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები, მეორე მხრით ის იძულებულია აუცილებლათ გამონახოს ღონისძიება, რომლითაც ის შესძლებს მუშურ გლეხური ფართე მასსების ნივთიერ აუცილებელ საჭიროების დაკმაყოფილებას.

შინაური კონტრრევოლიუციის აღაგვა-აღმოფხვრა, მშრომელთა ფართე მასსების დაკმაყოფილება,—აი დევიზი ჩვენი მთავრობისა.

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ პირველიც და მეორეც დღევანდელ პირობებში ჩვენს მთავრობას მხოლოთ რამდენიმეთ შეუძლია შეასრულოს, ძირითადათ და საბოლოვოთ გადაჭრა ამ კითხვისა ახლო მომავალს ეკუთვნის.

სასურსათო კრიზისი იმდენათ პასიური ნიადაგია, რომ იქ ათასგვარი პოლიტიკური ქაჯ-ღუა პოულობს საზრდოს და ვიდრე ეს კრიზისი არსებობს, ამ ქვემძრომთა მატლების გაჩანაგებაც ძნელია.

მეორე მხრით ჩვენდა სავალალოთ ძნელი ხდება ეკონომიური კრიზისის თავიდან აშორება მანამდე, ვიდრე საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს თავისი საკუთარი, სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლები არ ჩაუყრია.

და აი მთელი სიძნელე, საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობის დღეს იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოხერხდეს ასეთ არა ხელსაყრელ პირობებში ამ ახალი ეკონომიკის საფუძვლების ჩაყრა და ამ საფუძვლებზე მკვიდრი სოციალისტური კედლების აგება.

მდგომარეობა მეტათ კრიტიკულია საბჭოთა საქართველოსთვისაც ერთი იმის გამოც, რომ უკვე ასპარეზიდან გასულმა და ისტორიას ჩაბარებულმა, ძველმა მენშევიკურმა მთავრობამ მეტათ მძიმე ეკონომიური პირობები შეგვიქმნა სამკვიდროთ, მეორე იმის გამო, რომ დღევანდელ პირობებში ჩვენი დედა-ხელმძღვანელ წინამძღოლს, თვით რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკასაც არ ძალუძს რითიმე მოშველება და ამხანაგური, პროლეტარულ-სოლიდარული დახმარების გაწევა, თუმცა ის ამ სოლიდარული გრძნობით იწვის და მზათ არის თავისი მძლეთამძლე სახელმწიფოებრივი აპარატი ჩვენდა საშველათ მიმართოს. მაგრამ ის თვით საჭიროებს ჩვენის მხრით მიშველებას და დახმარებას და ამნაირათ იქნება ისეთი მდგომარეობა, როცა საბჭოთა რესპუბლიკები ურთიერთისადმი პროლეტარული, ამხანაგურ მეგობრულ, თავდადებულ სოლიდარობის გამოჩენაში ერთი მეორეს ეჯიბრებიან.

რუსეთი გვიგზავნის მანუფაქტურას, როცა ის ამას ჩვენზე მეტათ საჭიროებს, აზერბეიჯანი კი ჩვენც და რუსეთსაც საჭიროებისა და შეძლებისდაგვარათ უგზავნის ნავთს, მაშინ როდესაც ამ მხრით თავის საკუთარ საჭიროებას ძლივს იკმაყოფილებს. ხოლო ჩვენ ყველაფერს, რაც კი მოგვეძევება, დაუზოგველათ ვაწვდით მოძმე რესპუბლიკებს იმ ღრმესი იმედით, რომ დღეს თუ ხვალ მათი პროლეტარული მძლეთა-მძლეობა დაძლევს წყეულ წარსულისგან წარმოშობილ ეკონომიურ კრიზისს და საბჭოთა სისტემა გამოვა ფართე და მტკიცე სოციალურ აღმშენებლობის გზაზე: რუსეთის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა შექმნის ისეთ ეკონომიურ პირობებს, როცა მის პროლეტარიატს გაბედულათ და აღტაცებით შეუძლია აცნოს მსოფლიოს, რომ ამიერიდან იწყება კაცობრიობის ცხოვრების სულ სხვა ხანა, ახალი ეპოქა, ეპოქა ნამდვილი კომუნიზმისა.

რ. ქ.

## საბჭ. საქართველოში

გრუზკავროსტას დეპეშები

### გორის მაზრაში.

თბილისში დაბრუნდა საგანგებო სამეული, რომელშიაც შედიან შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე ამხ. ხუთულაშვილი, უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის კოლეგიის წევრი ფოფხაძე და წარმომადგენელი საქართველოს საგანგებო კომისიისა თაკუევი. სამეული გაგზავნილი იყო გორის მაზრაში და ახალქალაქის რაიონში ადგილობრივ მდგომარეობის გამოსაკვლევათ იმ საჩივრების გამო, რომელნიც შემოდიოდა შინაგან საქმეთა კომისარიატში ადგილობრივ ხელისუფალთა მოქმედებაზე, ყაჩაღობაზე და სხვა. მაზრაში მისვლის შემდეგ სამეულმა მოიარა და გამოიკვლია საქმეთა მდგომარეობა სოფლებში: ცხინვალს, დგვრისა, აჩაბეთსა, თამარაშენსა, მონასტერსა, ქურთასა, კეხვსა, ვანათსა, ბელოთსა, აწერის ხევსა, წვერსა, ერედვსა, ერგნეთსა, დიცხა და შინდისში, ესე იგი თითქმის ცხინვალის რაიონის ყველა ქართულ და ზოგიერთ ოსების სოფლებში, და ამას გარდა ახალქალაქის რაიონის სოფლებში. რაც შეეხება ახალქალაქს, ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი რევკომი მთელი შემადგენლობით ხშირათ ჟამსგავსათ მოქმედობდა და არღვევდა მთავრობის დეკრეტებს, თავის ნებით ართმევდა ზოგიერთ პირს ქონებას და აძლევდა თავის ნაცნობებს, ნაცნობებს და ნათესავებს და თავისი ქცევით შიშის ზარსა სცემდა რაიონს. ამხ. ხუთულაშვილის განკარგულებით ამ რევკომის მთელი შემადგენლობა დაატუსაღეს და სამართალში მისცეს; დაარსეს რევკომი ახალი საიმედო შემადგენლობით, ხოლო უკანონოთ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდა წინანდელ პატრონებს. ცხინვალის რაიონში როცა საგანგებო სამეული დადიოდა სოფლებში, გლეხებს ყოველთვის საჩივარი შეჰქონდათ ყაჩაღ ბანდებსა და ადგილობრივ ხელისუფლების უმოქმედობაზე.

ამხ. ხუთულაშვილმა, როგორც შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილემ, გამოსცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის რევკომისადმი, რომელთაც აუკრძალა სოფელ-სოფელ და ეზო-ეზო სიარული და თავის ნებით საქონლის და ქონების ჩამორთმევა. ამავე ბრძანების ძალით, ადგილობრივმა რევკომებმა ყველა დავა, აღძრული ამ ნიადაგზე, თითონ არ უნდა გადაწყვიტონ და უნდა გადასცენ კომისიას, რომელიც საგანგებოდ დაარსდა ცხინვალში დატაცებულ ქონების მოსაძებნათ. მილიციას და ყარაულებს ებრძანათ აღარ იარონ სხვის რაიონებში და არ შეაშინონ მცხოვრებნი. ამას გარდა ადგილობრივ ადმინისტრაციაში რამოდენიმე პირი გამოსცვალეს, დასასრულ, საგანგებო სამეულმა აღძრა და გაარჩია მეორე სამოსამართლო საქმე. ასე, ცხინვალში ადგილობრივ და ახლო-მახლო სოფლებიდან მოსულ 3000 სულის თანადასწრებით, გაარჩიეს საქმე ი. ფილიევისა, რომელსაც ბრალდებოდა ლოთობა და მკვლელობა წითელ არმიელის 3. ანენკოვისა. ბრალდებული დამნაშავეთ იცნეს და გადაუწყვიტეს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. მცხოვრებლებმა თავის კმაყოფილება გამოსთქვეს ასეთი მართლმსაჯულებისათვის. შემდეგ გადასცეს სასამართლოს თამარაშენის რევკომის თავმჯდომარე ცერსიძე და ცხინვალის რაიონის უფროსი მილიციონერი ბურუშვილი, რომელსაც ბრალდებოდა მრავალი მძიმე დანაშაული. ორთავეს დახვრეტა გადაუწყვიტეს, მაგრამ მაისის 26-ს ამნისტიის ძალით, დახვრეტა შეუცვალეს 20 წლ. იძულები თი სამუშაოთ. ამას გარდა საგანგებო სამეულმა დაატუსაღა კიდევ მრავალი პირი, უმთავრესად მილიციონერები, რომელთაც ბრალდებოდათ სხვა და სხვა დანაშაული. მათი საქმე გამოსაძიებლად გადაცემულია გორში პოლიტბიუროში. უკანასკნელ დროს მდგომარეობა ცხინვალის რაიონში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. ყაჩაღური თავდასხმები აღარ ყოფილა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ადგილობრივი გლეხი ქართველები შიშში სცხოვრობს. თუ ზემონათქვამს გაუკეთებთ რეზიუმეს, სასურველია მეტი ყურადღებით მოეკიდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი ცხინვალის რაიონის მცხოვრებთ, განსაკუთრებით გლეხობას, რომელნიც დაცნობილნი არ არის სრულიად მთავრობის დეკრეტებსა და ზომებს. საქართველოს ბოლო მოეღოს შურის ძიებას ოსეთის მცხოვრებელთა და ქართველებისადმი განადგურების გამო, რომელიც მიაყენა მათ მენშევიკების ბანდებმა და შეარიგონ ერთი მეორეში, რის საუკეთესო საშუალებაა ამოიფხვრას სრულიად ნაციონალური შუღლის პროვოკაცია ურთი ერთ შორის, რაიცნათლად იმათ მტკიცდება, რომ უწინ მუდამ კეთილ მეზობლურად, ერთსულოვნურად სცხოვრობდნენ და არავითარი ანგარიშები მათ შორის არ იყო.

### ხ ა შ უ რ ი.

სამაზრო პროფ. კავშ. ბიუროს პრეზიდიუმისა და ქ. ხაშურში არსებულ დაწესებულებათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე გადაწყდა გაიგზავნოს სურამსა, ბორჯომსა და ბაკურიანში ს. პ. კ. ს. წარმომადგენელ ჩისტიაკოვთან ერთად ამხ. ქურდაძე, ამ ადგილებში საწარმოვო პროფკავშირების და ადგილობრივ კომიტეტის მოსაწყობათ. ხაშურში უნდა დაარსდეს ხუთი კავშირი: 1) ხალხის გამაერთებელთა კავშირი 2) კომუნალურ მეურნეობისა 3) საბჭოთა მოსამსახურეების 4) რკინის გზელთა და 5) საექიმო სანიტარულ მოღვაწეთა კავშირი. ამ კუთხის ფარგლებში კავშირებისა და ადგ. კომიტეტების მოწყობის შემდეგ მოწვეულ იქნება სამაზრო კონფერენცია. შემუშავდა კონფერენციისათვის დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი. 2) საწარმოვო პროფ. კავშ. როლი და დანიშნულება 3) მოხსენება სამეურნეო საბჭოს მოღვაწეობის შესახებ. 4) მიმდინარე კითხვები.

### სურამი (ტელეგრამით)

სურამის საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. კაზაროვისა პროფკავშირების მნიშვნელობის შესახებ, ერთხმად დაადგინა: დაუყოვნებლივ დაარსებულ იქმნეს სურამში პროფკავშირები. კრებამ დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა საქართველოს რევკომს და საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ხელმძღვანელს მესამე ინტერნაციონალს.

### აგიტ-თეატრი ციხის ჯვარში.

ბორჯომიდან იუწყებიან: 20 მაისს ს. ციხისჯვარში „გრუზროსტას“ აგიტ-თეატრში ადგილობრივმა თეატრალურმა წრემ, დიდძალი გლეხობის თანადასწრებით, დადგა რევოლიუციონური პიესა „შურის მაძიებელი“ ბერძნულ ენაზე და ნაწყვეტები გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. წარმოდგენის დაწყებამდე ხორომ შეასრულა ინტერნაციონალი. ამხ. სევასტელმა აუხსნა გლეხებს „შურის მაძიებლის“ მნიშვნელობა. წარმოდგენის შემდეგ წაიკითხეს მოხსენება: „ქალი და საბჭოთა მთავრობა“, რის შემდეგაც გაიმართა მიტინგი. დასასრულ გაიმართა ეროვნული ცეკვა თამაში.

## აფხაზეთში

მშრომელთა ყრილობა

**სოხუმი.** 1 ივნისი (დეპეშით) ყრილობის მესამე დღეს მოისმინეს აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის შინაარსიანი და მკაფიო მოხსენება, რომელიც შეეხებოდა აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების და აღმშენებლობის საკითხს. მოხსენება გადათარგმნილ იქმნა აფხაზურ, მეგრულ და ოსმალურ ენაზე. ყრილობამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ეროვნულ შუღლის მოსასპობათ და საქართველოს და აფხაზეთის მშრომელთა შორის ძმურ კავშირის დასამყარებლად, საბჭოთა აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადება სამართლიანად ჩაითვალოს. ყრილობა დარწმუნებულია, რომ საქართველოსი და აფხაზეთის გლეხთა და მუშათა დეპუტატების სრულუფლებიანი საბჭოების პირველი ყრილობა აფხაზეთისა და საქართველოს ხალხის ძმურ ურთი ერთ თანამშრომლობის საბოლოო ფორმას გამონახავს, როგორც ეს სწორედ იყო ნაჩვენები საქართველოს რევკომის დეკლარაციაში მაისის 21. აფხაზეთის რევკომის საერთო პოლიტიკა, წარსული მისი მუშაობა, მახლობელი ამოცანები, მიმართული უმთავრესად ამ კითხვის სამეურნეო ცხოვრების აღორძინებისაკენ, ყრილობას სრულიად აკმაყოფილებს. ყრილობის დელეგატები თავის მოვალეობად სთვლიან, რომ თავთავის ადგილებში დაბრუნებისას, შეეცდებიან, მასებს აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში და მოუწოდონ მათ, გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადონ პროვოკაციის და კონტრრევოლიუციის ყოველგვარ გამოხატულებას.

**სოხუმი.** ივნისის 3. ნაციონალური საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის რევკომის წევრი, სამხედრო სახალხო კომისარი ლაკობა. მოხსენების მიხედვით მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: 1 მეფურ მთავრობისადმი მიბაძვით, რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობა მილიუკოვის და კერენსკის მეთაურობით განაგრძობდა ყოფილ რუსეთის იმპერიის მცირე ეროვნებათა ჩაგვრას; 2 როდესაც რუსეთის ცენტრში ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა, ბურჟუაზიამ განაპირებში დაიწყო გამაგრება სანაპირო ერთა ეროვნულ გრძნობის მოხერხებულ თამაშის მეოხებით. ბურჟუაზიამ ეროვნული მოძრაობის საშუალებით, შექმნა წყება მოსაზღვრე სახელმწიფოებისა, რომლებიც სავსებით დამოკიდებული იყვნენ მთელი ქვეყნის იმპერიალისტებისაგან, 3. დაჩაგრულ ეროვნებათა მუშა-გლეხებმა შეიგნეს თავისი ინტერესები და პროლეტარულ რუსეთის დახმარებით შექმნეს მთელი წყება ნამდვილ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებისა. შემდეგი ნაბიჯი იქნება მჭიდრო კავშირი ყველა ერთა გაერთიანებულ მუშურ გლეხურ მასსისა საბჭოთა ფედერაციაში. გამოდის რა ამ თვალსაზრისიდან, აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა გამოსთქვამს მტკიცე ნებას ყოფის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის უაღრესად მჭიდრო კავშირის და მშრომელთა ძმობის დასამყარებლად და პირველ რიგში საბჭოთა საქართველოსთან, რომელიც ყველაზე უფრო ახლობელია კულტურით ეკონომიური მდგომარეობით და მუშაგლეხთა ყოფა-ცხოვრებით. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და აფხაზეთის უახლოეს ყრილობას, რომელიც შექმნის მშრომელი ხალხის მჭიდრო კავშირს. გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ძმურ კავშირს.

## საბჭოთა რუსეთში

გრუზკავროსტას დეპეშები.

### ახალგაზრდათა კავშირის კონფერენცია.

**მოსკოვი.** 3 ივნისი. (რადიო) ივნისის 1 მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის კონფერენცია. ახალგაზრდობის მოძრაობის უმთავრესი მიზანია გათვალისწინება და გადაჭრა ყველა იმ კითხვების, რასაც კავშირი აქვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. გაირჩევა აგრეთვე ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის საკითხი, რომელთაც კავშირი აქვს ახალგაზრდობის ინტერნაციონალის მეორე კონგრესის მოსკოვში მოწვევის საკითხთან. კონფერენციას მიესალმნენ ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ კონგრესის დელეგატები, წარმომადგენლები აღმასრულებელ კომიტეტისა, კომინტერნისა, ლიტვის, შვეციის, რუმინიის, მექსიკის, ინდოეთის, კორეის და ხივის ახალგაზრდები. მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბუხარინმა. (კვროსტა).

### ბრძოლა სახელმწიფო საწყობთა ძარცვის წინააღმდეგ.

**მოსკოვი.** 4 ივნისი (რადიო) გამოქვეყნებულია სრულიად რუსეთის აღმ. საოლქო კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, შესახებ სახელმწიფო საწყობების ძარცვის წინააღმდეგ ბრძოლისა და თანამდებობის პირთა ბოროტ მოქმედების შესახებ, რომლებიც თავისი მდგომარეობით ამ გვარ ბოროტმოქმედებს ხელს უწყობენ, დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან დატუსაღებით არა ნაკლებ 3 წლისა. (კვროსტა).

### ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლო „კვირაობა“

**მოსკოვი.** 3 ივნისი. (რადიო). სრულიად რუსეთის სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა გადაწყვიტა სრულიად რუსეთის სამთამადნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ნომერში:

1 ივნისს მოსკოვში გაიხსნა რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდათა კავშირის კონფერენცია.

რუსეთში მუშები „კვირაობას“ აწყობენ ინგლისელ გაფიცულ მემაღაროეთა დასახმარებლად.

რუმინიაში სდევნიან და ატუსაღებენ კომუნისტებს.

მუშათა შორის გამართოს კვირაობა ინგლისელ გაფიცულ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ.

## რუსეთის სამეურნეო პოლიტიკა და საერთაშორისო მდგომარეობა.

**მოსკოვი.** 3 ივნისი (რადიო). თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ თუმცა დროებითი, მერყევი, მაგრამ წონასწორობა მაინც დამყარდა; წონასწორობა იმგვარი, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოებმა მიუხედავად მთელი თავისი სიძულვილისა და საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის სურვილისა, ჯერჯერობით მაინც უარი სთქვეს ამ მოსაზრებაზე. ეს ხდება იმიტომ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნის დაშლა ვითარდება, მთლიანობა ირღვევა, 1 მილიარდზე მეტი დაჩაგრული ხალხი წლითი წლობით, თვიდან თვეზე და თითქმის კვირიდან კვირამდე თანდათან მძლავრდება და ბრძოლას აჩაღებს. საერთაშორისო რევოლიუციაზე მთავარი გავლენა ამჟამად ჩვენა გვაქვს, ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით. თუ ჩვენ შევასრულეთ ეს დანიშნულება, მაშინ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით გავიმარჯვებთ საბოლოვოდ და დანამდვილებით. (კავროსტა).

## საქონელი ევროპიდან.

**პეტერბურგი.** 25 მაისი, (დეპეშით). პეტერბურგის ნავთსადგურის საბჭომ მიიღო ცნობა, რომ 20 მაისს ინგლისიდან გამოვიდა გემი დიდი ძალი თევზით დატვირთული, ნიუიორკიდან ორი ნახშირის გემი 5,000 ტონა ნახშირით დატვირთული.

## ამერიკასთან ვაჭრობა.

**მოსკოვი.** 2 მაისი. (რადიო). პეტროგრადის ნავთსადგურში მოელიან ამერიკულ გემს დატვირთულ 1100 კ. ფქვილით, კონსერვად დამზადებულ ღორის ხორცით და ხმელ მწვანილეულობით.

## უცხოელების წინადადება.

**მოსკოვი.** 3 ივნ. (რადიო). უცხოელთა ერთმა ჯგუფმა წარმომადგენლობა აღძრა საგარეო ვაჭრობის პეტროგრადის განყოფილების წინაშე, რათა მან გადასცეს მას პეტროგრადის სავაჭრო ნავთსადგური უცხოეთის საქონლის შესანახ საწყობების მოსაწყობათ. მათ სურთ აწარმოვონ ვაჭრობა იქვე, სადაც საქონელი მიღებული იქნება.

## რკინის-გზის აღმშენებლობა

**როსტოვი.** 26 მაისი. (დეპ.). მიმდინარე წლისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს განზრახულია რკინის გზის ქ ელის გაყვანა, სიგრძით 1,300 ვერსი. ამ ჟამად უკვე შეუდგნენ ეკატერინინის რაიონში მაღაროებიდან ნავთსადგურამდე ნახშირის გადასატანათ გზის გაყვანას. განზრახულია კიდევ სოჩა ადლერის შუა რკინის გზის შტოს და ყუბანისა და კრასნის ტყეებამდე სატყეო გზის გაყვანა.

## ქაღალდის წარმოება.

**პეტერბურგი.** 25 მაისი. (დეპეშით). პეტერბურგის რაიონის ქაღალდის ფაბრიკებმა მაისის პირველ ნახევრის განმავლობაში დაამუშავეს 15,000 ფუთი ქაღალდი.

## მუშაობის ნაყოფიერების ზრდა.

**როსტოვი.** 25 მაისი. (დეპეშით.) ალექსანდროგრუშევკიდან გვაცნობებენ რომ მესამე ინტერნაციონალის მაღაროს მღვიმეში № 3 დღე ღამე იღებენ 700 ფუთის მაგივრად 10000 ფუთს.

## რკ. გზის ყრილობა.

**როსტოვი.** 28 მაისი. (დეპეშით). როსტოვში გაიხსნა კავკავის რკინის გზის პროფესიონალური კავშირის მე-2 ყრილობა. პროგრამაში შეტანილია საკითხი რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის, გზების რეორგანიზაციის შესახებ და სხვ.

## შრომის დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა.

**როსტოვი.** 28 მაისი, (დეპეშით). როსტოვში მიღებულია სასტიკი ზომები შრომის დეზერტირების წინააღმდეგ. დამნაშავეთ მაღაროებში სამუშაოდ გაგზავნიან.

## საწვავ მასალის სამკვირეული.

**მოსკოვი.** 3 ივნისი (რადიო). ადგილობრივ დაიწყო მუშაობა საწვავ მასალის სამკვირეულის გასატარებლათ. მიღებულია მოხალისეთა განცხადებანი, რომელთაც სჭურთ საწვავ მასალის საქმეზე მუშაობა. ჩაწერილთა რაოდენობა დიდია, განსაკუთრებით მაზრაში. პეტროგრადის საბჭომ მოხალისეთათვის მუშაობის შეღავათიანი პირობა დააწესა, ვინც სურვილი განაცხადა მუშაობისა, მუშა მოსამსახურეთ მიეცემათ შვებულება, რიგს გარეშე ორი კვირის ვადით. მათთვის დაწესებულია ხელფასი ნაჭრობით სურსათ-სანოვაგის გაცემა. 5 კუბიკურ საჟენ შეშის დამმზადებელს ჯილდოთ მიეცემა 10 არშინი ფართლეული (კავროსტა).

# საზღვარ გარეთ

**გრუზკავროსტას დეპეშები**

## გერმანიის ახალი მთავრობის მოხსენება

**ჰანნოვერი.** 2 ივნისი (რადიო) კანცლერ ვირტმა გერმანიის რეიხსტაგს წარუდგინა ახალი მთავრობის ფინანსიური ეკონომიური პოლიტიკა. კანცლერს ძალიან ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას ირონიულ წამოძახილით და ხმაურობით. ერთ ერთი კომუნისტი დეპუტატი კანცლერს ხშირათ მოაგონებდა ხოლმე „ამნისტიას“, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მემარჯვენეებში კანცლერის იმ განცხადებამ, რომელიც შეეხებოდა ბავარიის თავდაცვის ორგანიზაციების დაშლას. ამ საკითხზე ახალი კაბინეტის პოლიტიკამ დიდი წინააღმდეგობა ჰპოვა მიუნჰელიდან ჩამოსულთა.. (დამახინჯებულია) იუწყებიან რომ ინგლისის წარმომადგენელმა ოფიციალურათ მოსთხოვა ბავარიის მთავრობას არა მარტო განიარაღება სამხედრო ორგანიზაციებისა, არამედ სავსებით მათი ლიკვიდაცია. (კავროსტა).

## საფრანგეთი და გერმანია.

**ლიონი.** 2 ივნისი (რადიო). რეიხსტაგში განაგრძობენ ვირტის დეკლარაციის განხილვას. სოციალისტთა უმეტესობის წარმომადგენელმა გააკრიტიკა ნაციონალისტების პოლიტიკა. ორატორმა აღნიშნა, გერმანიის მთავრობა, რომ ნაციონალისტების რჩევას აჰყოლოდა, გერმანია სრულიად აირ-დაირეოდა. ორატორმა ამასთან იკითხა, გერმანიას რომ გაემარჯვნა, გამოიჩენდა ისეთს ზომიერებას, როგორც საფრანგეთი თუ არა. ორატორის აზრით, ევროპის მომავალი დამოკიდებულია გერმანიასა და საფრანგეთის შორის კეთილ განწყობილების დამყარებაზე. ნაციონალისტების წარმომადგენელმა ბრიუნმა განაცხადა, რომ ულტიმატუმის მიღება გერმანიას მიიყვანს მონობამდე.

შემდეგ გერმანიის მთავრობის წევრმა რატენაუმ აღიარა, რომ გერმანიას შეუძლია 3 მილიარდი მარკის გადახდა. საზოგადოთ გერმანიამ,—სთქვა მინისტრმა, თუ ბეჯითათ მოინდომებს, შეუძლია შეასრულოს ანტანტის მოთხოვნილებათ.

პრესა აღნიშნავს, რეიხსტაგში საერთო განწყობილება ისეთია, რომ ვირტის კაბინეტს ნდობას გამოუცხადებენ, გერმანიის ახალ მთავრობის პოლიტიკას მეტად კეთილის თვალით უცქერის საფრანგეთის პრესაც.

## იტალია და გერმანია.

**როსტოვი.** 30 მაისი, (დეპეშით) იტალიის პრესა აცხადებს, იტალიის ინტერესები მოითხოვენ, რომ გერმანიამ შეინარჩუნეს მთელი თავის ძალა. მძლავრი საფრანგეთის და აღორძინებულ რუსეთის შუა მყოფი გერმანია, შეინარჩუნებს ევროპიულ საქმეებზედ მთელ თავის გავლენას. იტალიამ შესაძლებელი არ უნდა გახადოს, რომ გერმანია მომავალში კიდევ უფრო შესუსტებული იყოს.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დეკრეტი № 40.

**საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა მასწავლებელთა და მოწაფეთა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ.**

1921 წ. აპრილის 29 ს, დეკრეტი № 31 ს მუხლი 4-ს დამატებად, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. სახელმწიფოს ყველა სასწავლებლების მასწავლებელნი თავისუფალნი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

2. სახელმწიფოს ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლების მოწაფენი, სათანადო მოწმობების წარდგენის შემდეგ, დროებით განთავისუფლებულ იქნებიან, რომ მათ სასწავლებლის კურსი დაამთავრონ, ვიდრე 21 წლისა გახდებიან.

3. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც ლექციებს ნამდვილად ისმენენ და სათანადო მოწმობები აქვთ, დროებით განთავისუფლებულ იქნებიან, რომ მათ სასწავლებლის კურსი დაამთავრონ, ვიდრე 26 წლისა გახდებიან.

4. მეორე და მესამე მუხლში აღნიშნული წლოვანობის შესრულების შემდეგ, მოწაფენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სათანადო სამხედრო კომისარიატებში სამსახურში ჩასარიცხავად.

**შენიშვნა:** უკეთუ მოწაფენი მეორე და მესამე მუხლებში აღნიშნული წლოვანობისა შეიქნენ და მორიგი გაწვევით ჯარში კი არ გამოცხადებულა, მათ შეღავათი მიეცემათ უახლოეს ჯარში გაწვევის პირველ დღემდე.

5. მოწაფენი, რომელნიც ჯარში იქნენ დატოვებული სამხედრო და საზღვაო კომისარის 1921 წლ. მარტის 21-ს № 2 ს ბრძანების თანახმად, სამსახურში რჩებიან, ვიდრე უახლოესი ჯარში გაწვევა მოხდება, რომლის შემდეგაც ისინი დათხოვნილ უნდა იქნენ ამ დეკრეტში ნაჩვენები წესის მიხედვით.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომ. თავმჯდ. ფ. მახარაძე

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი შ. ელიავა.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 6 ს.

ტფილისი—სასახლე.

## შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარი № 18.

**სახალხო კომისარიატებს, შრომის განყოფილებათ და შრომის სარაიონო ინსპექტორებს—მოსამსახურეთა მიღება-გადაყვანის წესის შესახებ.**

შრომის სახალხო კომისარიატის-მიერ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების ორგანოთა დაარსების შესახებ მარტის 23-ს გამოცემულ დადგენილების ძალით ყველა დაწესებულებაში და წარმოებაში—სახელმწიფოსა, საზოგადოსა და კერძო სამსახურში მიღება უნდა წარმოებდეს მხოლოდ და მარტო მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების ორგანოთა საშუალებით, გარდა პასუხსაგებ თანამდებობის პირთა და სპეციალისტებისა, რომელთა მიწვევა სათანადო დაწესებულებას შეუძლიან გარეშე მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებისა, მაგრამ ისიც იმ აუცილებელი პირობით, რომ ასეთი პირნი, ვიდრე საბოლოოდ ჩაირიცხებოდნენ სამსახურში, წინასწარ უეჭველად აღირიცხონ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში და სათანადო სარეგისტრაციო ბარათი მოწმობაც წარუდგინონ დაწესებულებაში.

მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით, ზოგიერთი დაწესებულება გვერდს უხვევს მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ორგანოებს და ამა თუ იმ თავისუფალ თანამდებობაზე სხვა და სხვა პირთ იწვევს მის გარეშე, დამოუკიდებლივ, რაც ერთი მხრივ არღვევს საბჭოთა ხელის-უფლების დროს სავალდებულო და სამართლიან ნორმას შრომის განაწილებისას და მეორეს მხრივ ჰბადებს კანონიერ უკმაყოფილებას იმ უმუშევართა წრეებში, რომელნიც ჩაწერილნი არიან მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების განყოფილებაში და ტყუილა უბრალოდ, უსარგებლოდ ელიან თავიანთ ჯერს.

გაუწყებთ რა აღნიშნულს, დაბეჯითებით გთხოვთ მოახდინოთ ფიცხელი განკარგულება თქვენს და თქვენ ხელქვეით დაწესებულებებში, რათა შრომის სახალხო კომისარიატის აღნიშნული დადგენილება სასტიკად იქმნას დაცული და სამსახურში ჩარიცხვა-მიღება არას გზით არ ხდებოდეს დამოუკიდებლივ და გარეშე მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებისა და სათანადო სარეგისტრაციო მოწმობის წარმოუდგენლად.

შრომის სახალხო კომის. ლ. დუმბაძე.

საქმეთა მმართველი მ. ზერძნიშვილი.

მუშა-ხელის აღრ.-განაწ. განყოფ. გამგის დრ. მოადგილე ა. კურპელი.

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი მ. ფურცელაძე.

## დადგენილება № 24.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ქაღალდის აღრიცხვისა და განაწილების მთავარი სამმართველოს დაარსების შესახებ.**

1. იმ მიზნით, რომ აღრიცხულ და სწორეთ განაწილებულ იქნეს გაზეთისა და წიგნის ქაღალდი, რომელიც-კი რესპუბლიკაში მოიპოვება, სახელმწიფოს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის, დაარსდეს ქაღალდის საალრიცხვო და განმანაწილებელი მთავარი სამმართველო.

2. გაზეთისა და წიგნის ქაღალდის საალრიცხვო და განმანაწილებელ მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელად დაინიშნოს ამხ. ს. თოდრია.

3. სახელმწიფოს ყველა დაწესებულებათ და ორგანიზაციათ წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ ჩააბარონ ზემოხსენებულ ქაღალდის საალრიცხვო და განმანაწილებელ მთავარ სამმართველოს მთელი რაოდენობა როგორც გაზეთის, ისე წიგნის ქაღალდისა, რომელიც კი მათ განკარგულებაში არის.

4. ამ დადგენილების დამრღვევნი მიიცემიან სასტიკ პასუხის გებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომ. თავმჯდ. ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 4-ს.

ტფილისი—სასახლე.

# საქართველოს უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა

23 მაისის სხდომაზე აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ: პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილებიდან ამხ. გასვიანი, დალნაია, ბაბაიანი და გასანოვი, ოზურგეთის რაიონიდან დოლიძე, ბათომიდან—სმირნოვა, ქუთაისიდან—გოგლიძე, სამეგრელოდან—საჯაია, თფილისიდან—გეგრაძე, კახეთიდან გოგოლაშვილი, ახალციხიდან—კარაპეტიანი, ქართლიდან—ფილიევა და ბორჩალოდან—პოლიფეხურ აზიმოვი, პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ამხ. გასვიანი, თავმჯდომარის ამხანაგათ დალნაია. პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ აირჩიეს: ამხ. ლენინი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, კოლონტაი და კლარა ცეტკინა. გადასწყვიტეს ყველა მათ გაეგზავნოს მისალმებელი დეპეშა. პრეზიდიუმის წინადადებით აირჩიეს სარედაქციო კოლეგია 5 ქალისაგან, რეზოლიუციების და მისალმების შესამუშავებლათ.

23 მაისის სხდომაზე, პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, თფილისის რევკომის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ნასარიძე, რომელმაც წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „ამხანაგებო, საბჭოთა საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ყრილობის დღევანდელი დღე დიდი მნიშვნელობის დღეა. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ქალის ისტორიულ განვითარების მთელს მსვლელობას, გავიხსენებთ, რომ იყო ხანა, როდესაც ქალი გაბატონებული იყო. იგი ბატონობდა როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე, როცა ქმარი ხელცარიელი ბრუნდებოდა ნადირობიდან, ცოლი სცემდა ქმარს და იგი ნაცემი და გამწარებული ადიოდა ხეზე და თავის დარდს ტირილით მოსთქვამდა. მაგრამ როდესაც დაიწყო თემთა შორის ბრძოლა, როდესაც კაცმა გამოიჩინა თავისი ფიზიკური ღონე და ამტანლობა ოჯახის კერის დაცვის დროს, ქალმა თანდათან დაჰკარგა თავისი პირველობა, ფეოდალურ წყობილების დამყარებიდან ქალი უკანასკნელ როლს თამაშობს, იგი ხდება კაცის სათამაშოთ და მონათ. ქალი იჩაგრება და ჰკარგავს ყველა უფლებას; მას რჩება მხოლოდ უფლება მუშაობისა და ჩუმი ტანჯვისა; უკანასკნელ დრომდე, მთელი მუშათა კლასის საუკუნოებით ჩაგვრის დროს, ქალიც იყო დამცირებული, უუფლებო და უკან დარჩენილი ყოველ მხრივ. ეხლა კი საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა ქალს სრული განთავისუფლება და სრული უფლება. ამას ამტკიცებს თქვენი პირველი ყრილობა თფილისში, ამტკიცებს ის, რომ თქვენ მოგცეს სრული თავისუფლება და შესაძლებლობა აქ შეიკრიბნოთ, იმსჯელოთ თქვენს საჭიროებაზე და იპოვოთ გზა საუკეთესო ნათელ ცხოვრებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლების დროს არავინ არ იქნება დაჩაგრული, არავინ არ დაიტანჯება სილატაკისა და დამონებისაგან. რუსეთის საბჭოთა მთავრობა პირველი დადგა მშრომელთა განთავისუფლების გზას და თავგანწირულათ იბრძვის მთელი ქვეყნის თავისუფლებისთვის, ჩვენც მასთან ერთად ვიქნებით. გაუმარჯოს კომუნისტურ ხელისუფლებას. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. გაუმარჯოს ლენინს და მახარაძეს.

პოლიტიკურ განათლების მთავარ განყოფილების სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ქურიძე, რომელმაც სთქვა: „ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ახალგაზრდა ორგანიზაციის სახელით მივესალმები საქართველოს მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას. ჩვენ შევხარით თქვენს ყრილობას, რომელიც გვიმტკიცებს საქართველოს ქალთა განვითარებას. ვხედავთ რა, რომ თქვენ მზათა ხართ ჩვენთან ერთად იმუშაოთ, ჩვენ ვრწმუნდებით ჩვენი საქმის მშრომელთა განათლების მომავალ გამარჯვებაში. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს წითელ ქალს. გაუმარჯოს კომუნისტურ მთავრობას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

**ამხ. ბაგდატიევის სიტყვა.**

გრუზკავროსტას სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბაგდატიევისამ.

„უპირველესად ყოვლისა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მხურვალეთ მივესალმო საქართველოს უპარტიო მშრომელ ქალთა ყრილობას არა მარტო გრუზკავროსტას, არამედ კავროსტას სახელითაც, რომელიც წარმოადგენს სიტყვის და ბეჭვდის მებრძოლ ავანგარდს. ეს მებრძოლი ავანგარდი მოვიდა შორეულ მოსკოვიდან კავკასიაში და ამ ჟამად საქართველოში წითელ ლაშქართან ერთადაა. ეს მებრძოლი ჯგუფი მოიწრაფოდა აქეთ დაუღალავათ, ამ მანძილზე ჩვენ ბედნიერება გვქონდა გვენახა აზერბეიჯანის, ყაზახის და მთიელთა მშრომელ ქალების გამოფხიზლება და აი ეხლა წითელ ლაშქართან ერთად მოვედით თავისუფალ საქართველოში. თქვენ, ამხანაგებო, მოისმინეთ მისალმებანი წითელ არმიის, იმ არმიის სახელით, რომელიც მტკიცეთ სდგას ჩვენს საზღვრებზე და ხიშტებით იცავს თქვენს თავისუფლებას. მაგრამ თუ არმია იარაღით იბრძვის, ჩვენ თქვენი თავისუფლებისათვის სიტყვით და კალმით ვიბრძვით.

სიტყვა უდიდესი იარაღია, წინად ბურჟუაზიული წესწყობილება სიტყვას თქვენ წინააღმდეგ მიმართავდა ხოლმე იმ მიზნით, რომ გაემართლებინა ქალთა მონობა. ამ ჟამად სიტყვა საბჭოთა ხელისუფლების დროს იბრძვის თქვენი თავისუფლებისთვის, მშვენიერ, ნათელ, თავისუფლების მომავლისთვის. სიტყვა უდიდესი იარაღია ერთიან ... მოსასპობად და ქალების ... ლიდან გასანთავისუფლებლად და აი, ამხანაგებო, მოგესალმებით ამ მებრძოლ ავანგარდის სახელით თქვენ, სრულიად საქართველოს მშრომელ ქალებს. მე მივესალმები კავკასიის გაერთიანებას და უსუვევ გამარჯვებას კავკასიის კომუნას. გაუმარჯოს მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალის იდეას. გაუმარჯოს მშრომელ ქალებს საქართველოში, გაუმარჯოს შრომას და თავისუფლებას.

**სატირ აგიტის მილოცვა.**

თეატრ სატირ აგიტის სახელით ყრილობას შემდეგი მისალმება გადაეცა. დღეს, საქართველოს ქალებო, თქვენთან ერთად სცემს ათასი მკერდი. თქვენ ახალ მეცნიერების, ახალ ხელოვნების და ახალ ცხოვრების მატარებელთ შევცქერით საქართველოს მთელი პროლეტარიატი. თქვენს მუშაობას თვალ ყურს ადევნებს თავისუფალ საქართველოს მთელი გლეხობა და თქვენ, ნათელი რწმენით აღჭურვილთ, თქვენ პირველ ყრილობაზე მოგესალმებით ჩვენ, მსახიობები ახალი თეატრის სატირ-აგიტი, რომელიც რევოლიუციამ წარმოშვა. მსახიობი ბრიანსკი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ყრილობას: ამხანაგებო, ჩვენი თავისუფალი რევოლიუციონური თეატრი ყოველთვის გამომხატველია ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა. ჩვენ ეხლაც გამოვეხმაურეთ თქვენ ყრილობას და გიწვევთ თქვენ ყველას ახალ წარმოდგენაზე, რომელიც ახალ პროგრამითაა შემდგარი და დაწერილია განსაკუთრებით ქალების მიერ.

**თერგის ოლქის მუშა ქალთა მისალმება**

თერგის ოლქის მუშა ქალთა სახელით ყრილობას ესალმება თერგის ოლქის მუშა ქალთა განყოფილების თავმჯდომარე, ამ ჟამათ კი საქართველოს კომპარტიის ც. კ. ქალთა განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგი ამხ. დალნაია. „ძვირფასო ამხანაგებო და დებო. ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ ისე, როგორც თავისუფალ ქალებს თავისუფალ თერგისა. იქ, თერგზე დიდი მუშაობა შესრულდა, ჩვენ ვიცით, რომ თერგის ოლქში ბევრი ეროვნების ხალხი სცხოვრობს. მეფის მთავრობა ამ ეროვნებათ შეუწყვეტლივ ერთი მეორეს უსისინებდა და სარგებლობდა ამით მათ დასამონავებლად და დასაჩაგრავად. ჯერ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც თეთრგვარდიელებმა აუარებელი სისხლი დაღვარეს, გამოიწვიეს დიდი მსხვერპლი და დატოვეს ქალები ქვრივ-ობლათ. მაგრამ თერგის ოლქის ქალს ესმოდა, თუ რისთვის იბრძოდა იგი და არ იშურებდა მსხვერპლს. მათ შეიგნეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოსვლით აღსდგნენ ჩვენი ძმები და ქმრები. თერგის ოლქის ქალთა ყრილობაზე ერთმა მოხუცმა ინგუშმა ქალმა განაცხადა: „საბჭოთა ხელის უფლებამ მკვდრეთით აღადგინა ჩვენი ქმრები და ძმები დამე მჟამს, რომ ახალი ცხოვრება გამოისყიდის ყოველივე მსხვერპლს“. მეორემ განაცხადა „ჩემი ორი შვილი დაიღუპა ჩვენი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მე მყავს კიდევ სამი შვილი და მათ ყველას შევწირავ საბჭოთა ხელის უფლების დასაცავათ“. თერგის ოლქის ქალები გიგზავნიდით თქვენ, ჩვენ დებს, სალამს და მოგიწოდებდით თქვენ საერთო მუშაობისთვის, მაგრამ ეს მისალმებანი თქვენამდე ვერ აღწევდა, მათ არ უშვებდნენ ჩვენი და თქვენი მტრები მენშევიკები, რომელთაც ეშინოდათ თქვენი გამოღვიძებისა. ისინი ჩვენი მტრები არიან იმიტომ, რომ ეროვნულ შუღლსა სთესავდენ და ქალებს თავისუფლებას აძლევდნენ მხოლოთ ქაღალდზე. ჩვენი მტერი ერთია—ეს არის კაპიტალიზმი, რომელიც გვიმონებდა, გვჩაგრავდა და გვამყოფებდა უვიცობაში. საბჭოთა ხელის უფლების დამყარებით ყველა ჯაჭვები წყდება. მე ბედნიერი ვარ, რომ აქ ვხედავ ყველა ეროვნებათა გაერთიანებას. ჩვენი განთავისუფლებისთვის აქ საქართველოში იღვრებოდა სისხლი, როდესაც დუშეთში, ცხინვალში და სხვა ადგილებში მუშა ხალხი იღუპებოდა ჩვენი თავისუფლებისათვის. ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ ჩვენთვის დაღუპულებს.

(ყველანი დგებიან,—ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს).

ამხანაგებო და ძვირფასნო დანო. გახსოვდეთ ერთი: სადაც კი ფეხს შემოდგამს საბჭოთა ხელის უფლება, იქ იმსხვრევა ბორკილები, ჩვენ აქედან წავალთ საქართველოს მიყრუებულ კუთხეებში და წავიღებთ იქ ჩვენ ნათელ დროშას. ჩვენი წითელი დროშა უნდა ფრიალებდეს მთელ მსოფლიოში, გაუმარჯოს ჩვენს ერთობას. გაუმარჯოს აღმოსავლეთის, დასავლეთის და მთელ მსოფლიოს ერთობას.

**ოსეთის მისალმება.**

ყრილობას ოსეთის სახელით ესალმება ამხ. ფილიევისა:

ამხანაგებო, რევოლიუციონურ საქართველოს შორეულ კუნჭულებიდან შეკრებილთ მოგესალმებით ცხინვალის რაიონის და სამხრეთ ოსეთის ოლქის უპარტიო მუშა ქალთა პირველ კონფერენციის სახელით. ჩვენმა ამხანაგებმა ფიცი დასდეს, მედგრათ დაიცვან განთავისუფლების წითელი დროშა და განამტკიცონ იგი დამონებულ აღმოსავლეთში. ამხანაგებო, ჩვენ ყველანი მოვედით აქ იმ მიზნით, რომ ამიერ კავკასიის პროლეტარიატთან ერთად აქტიურ რევოლიუციონურ მომუშავეთა რიგებში ჩავდგეთ, რათა მონაწილეობა მივიღოთ საქართველ-

ლის მშრომელთა ახალ თავისუფალ ცხოვრების აღმშენებლობაში. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მომენტიდან, იმ კანონებიდან, რომელნიც ქალს აყენებდენ ხელქვეითის მდგომარეობაში, აღარაფერი აღარ დარჩა. ასევე უნდა იყოს აქაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მომენტიდან და აგრეთვე ამიერ-კავკასიაშიაც, ჩვენი წინანდელი ხელქვეითი მდგომარეობა ინგრევა საძირკვლამდის და დღესაც ამ ყრილობაზე რევოლიუციონურ ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალთა გაერთიანებულ მეგობრული ხელით ეყრება საძირკველი აღმოსავლეთის ქალთა მომავალ თავისუფალ ცხოვრებას. ამხანაგებო, თქვენ ხედავთ, რომ თანდათანობით რევოლიუციის ალი ედება უშველებელ აღმოსავლეთს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლოა ის დრო, როდესაც აღმოსავლეთი მთლიანათ შევა უძლეველ მე-3 ინტერნაციონალის ოჯახში. ამ მიზნისკენ აღმოსავლეთის ხალხი მიდიან მტკიცე და გადაწყვეტილი ნაბიჯებით და ვაი იმას, ვინც ამ დიად გზაზე გაბედავს დაბრკოლების გაწევას. ასეთი მტრის შესახებ, აღმოსავლეთის ხალხებმა თავის კონფერენციაზე 1920 წ. აგვისტოში ქ. ბაქოში, ფიცი დასდო, რომ შურს იძიებს მათზე, თვით სამღვთო ომის გამოცხადებითაც—კი. ამგვარათ ბაქოს კონფერენცია სასიკვდილო მუქარას წარმოადგენს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მტრებისათვის. ეს საზეიმო ფიცის დადების დღე—ანტანტისთვის სამგლოვიარო დღეა, და აი ამ ფიცის დადების დროს არ გაისმოდა აღმოსავლეთის ხალხის უმეტესი ნახევრის ხმა—აღმოსავლეთის ქალთა ხმა. და თუ ამას ჩვენ მაშინ მოკლებულნი ვიყავით, სხვისი წყალობით, ეხლა ჩვენ ვუერთდებით აღმოსავლეთის ხალხთა ხმას, ბაქოს კონფერენციის და ფიცსა ვდებთ, რომ ჩვენ ქალები—ავანგარდში ვიქნებით აღმოსავლეთის ხალხთა მომავალ რევოლიუციონურ ბრძოლების დროს. ამიერიდან ჩვენი ძმებისგან მოვითხოვთ სრულს განთავისუფლებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს სინამდვილეთ უნდა იქცეს. აღმოსავლეთის ხალხნი თავისთვის დიდის პატივისცემით ეპყრობიან თავისუფლებას და ქალს კი ბარბაროსულათ ართმევენ მას. მაგალითისათვის შორს არ დაგვჭირდება წასვლა. თქვენ იცით, რომ ჩვენში თერგის ოლქში წელიწადზე მეტია, რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს. თქვენ უეჭველათ ისიც გახსომებათ, რომ ეხლახან იქ შესდგა თავისუფალ თერგის მთიელთა დამფუძნებელი ყრილობა, სადაც საბოლოოთ დადასტურდა მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკის გამოცხადება. ეს დღე მთიელთა მკაცრ ცხოვრებაში უდიდეს დღესასწაულს წარმოადგენს. თითქოს ბუნებაც კი დღესასწაულობდა მთიელებთან ერთად ამ დღეს. არ სცემდა ამ სიხარულით და ბედნიერებით მხოლოდ მთიელ ქალის გული, რომელსაც მთიულებმა უხეშათ გვერდი აუარეს და ამ ყრილობაზე არ დაუთმეს ადგილი. ასეთი საქციელით ღრმათ შეწუხებული იგი მწვავე საყვედურს უგზავნის თავის ძმებს მთიელებს წერილში „შავი ლაქა ნათელ ფონზე", რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „მთის სიღარიბე"-ში. ასე ანხორციელებენ ქალთა განთავისუფლებას აღმოსავლეთის ხალხში. ტყუილად ოცნებობენ აღმოსავლეთის ხალხნი სოციალურ რევოლიუციის სრულს გამარჯვებაზე თავისი ქვეყანაში, სანამ არ გაანთავისუფლებენ მრავალ მილიონიან დამონებულ ქალთა მასსას. ტყუილათ კი არა სთქვა ამხ. ლენინმა მუშა-ქალთა ყრილობაზე, რომ ქალი წარმოადგენს რევოლიუციის უდიდეს მუხრუჭს, ჩვენი ძვირფასი ბელადის ამ სიტყვებს განსაკუთრებით ანგარიში უნდა გაუწიოთ აღმოსავლეთის ერებმა და ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოაშორონ მონობის ბორკილები თავის დედებს, დებს და ცოლებს. ჩვენ აღმოსავლეთის ქალები ეხლავე უნდა შეუდგეთ ჩვენი თავის განთავისუფლებას, თუ ჯერ კიდევ არ დაგვიწყებია აღთქმა, რომელიც ჩვენ გვეუბნება: „გიყვარდეთ თავისუფლება, როგორც მშრომელი დედა, და თქვენი ცხოვრება საუკუნოთ ლამაზი იქნება, შეგტკიოდეთ გული თავისუფლებისათვის და დაიცავით იგი". მაშ ასე, ამხანაგებო, მკიდროთ შევკრათ რევოლიუციონური რიგები და პეტროგრადის და მოსკოვის მუშა ქალებთან ერთად გაუწოდებთ თქვენს დაბეჩავებულს დას, აღმოსავლეთის ქალს ხელი. იქ, სადაც დღეს იგი ჰარამხანებში განიცდის დამცირებას, სადაც კაპიტალის ბობოლები დასცინიან მის სხეულს, გახსენით თქვენ საბავშვო სახლები, დედების და ბავშვების სახლები და მოუწოდეთ მას კაპიტალის მსხვერპლს, პატიოსან შრომისკენ. ვათავებ რა ჩემს მისალმებას, მე ვამბობ: მოუწოდოთ რევოლიუციონურ ამიერ-კავკასიის ცენტრის მუშა-ქალებს, წინ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ქალთა მსოფლიოს განთავისუფლებისათვის. გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს და მის ბელადს ფ. მახარაძეს. გაუმარჯოს წითელ აღმოსავლეთს, მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. გაუმარჯოს ქალთა მოძრაობის ბელადებს კლარა ცეტკინს და კოლონტაის".

# ეკონომიური ცხოვრება.

### შეშის სამზადისის მდგომარეობა.

სათბობ მასალის მომარაგების საბჭოს განყოფილების მიერ მოწვეულ თათბირზე, სათბობ მასალის მომარაგების საკითხის შესამუშავებლად, მოხსენება გააკეთა სატყეო კომ. წარმომადგენელმა ამხ. ვერმიშევმა შეშის სამზადისის შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, ამ ჟამათ სწორი ცნობების მოცემა შეუძლებელია, რადგანაც ყველა რაიონებს არ წარმოუდგენიათ ცნობები დამზადების და მუშაობის მსვლელობის შესახებ. ჩვეულებრივად დამზადებას იწყებენ ოქტომბერში, მაგრამ დამზადების საქმეში იყო და არის ბევრი დაბრკოლებანი, როგორიც არის: იარაღების, სურსათის, ფულის და სხვათა უქონლობა, რაც შეეხება შეშის არსებულ მარაგს, შემდეგი ციფრებით გამოიხატება: თელავის რაიონში 634 კუბ. საჟენი—ტყეში, ბენის რაიონში 5.000 კუბ. საჟენი, ყარაიაზის ტყეში 200 კუბ. საჟ. და მაგისტრალთან 200 კუბ. საჟ; საგურამო-მცხეთაში 42 კუბ. საჟ.; საგარეჯოს ტყეში 181 კუბ. საჟ. მიხაილოვო-შორაპნის 300 კუბ. საჟ. მაგისტრალთან და გურიის რაიონში 2.500 კუბ. საჟ. სულ 9.087 კუბ. საჟ ამათ რიცხვში მაგისტრალთან 500 კუბ. საჟ.

ხის ნახშირი ბორჩალოს რაიონში არის 2,500 ფუთი და საგარეჯოს 10,000 ფუთამდე, ამ რიცხვიდან მაგისტრალთან 4,000 ფუთამდე. თუ სატყეო კომ: მიეცემა ნავთი, მარილი და ფული, მაშინ შესაძლებელი გახდება ივნისის განმავლობაში მაგისტრალთან 3,000 კუბ. საჟ. შეშის და 10,000 ფუთ ნახშირის მოტანა და საგარეჯოს რაიონში კი ორჯერ ამაზე მეტის.

ყველაზე მძიმე დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ დღითი დღე ფასები მატულობს და მუშებს კი ფულზე მუშაობა არ სურთ.

### საზღვაო ტრანსპორტი.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან დაარსდა საზღვაო ტრანსპორტთა სამმართველო „საზტრანი", რომლის უფროსად დაინიშნა ინჟინერი ატოევი, ხოლო ნავთსადგურთა ინჟინრად დანიშნულია ინჟ. ანდრონიკაშვილი. სამმართველო 6 განყოფილებად იყოფა: საადმინისტრაციო, საფინანსო, საექსპლოატაციო, მატერიალური, ტეხნიკური და სასურსათო. სამმართველო ჯერ-ხნობით ორგანიზაციის სტადიაშია. მთავარი სამმართველო თბილისში იქნება რესპუბლიკის სხვა და სხვა დაწესებულებებთან კავშირის დასაჭერად, ხოლო საექსპლოატაციო და სასურსათო განყოფილებანი ბათუმში იქნება, რადგანაც მთელი შავი ზღვის ნაპირების ცენტრალურ ბაზაში. „საზტრანი" მთელ რიგ ზომებს იღებს ნავთსადგურების გასაშვები სადგომებისა და საშუალებათა გასაუმჯობესებლად. ბათუმში ამ ჟამად აწყობენ საკუთარ სახელოსნოს. ახლო დღეებში ინჟ. ატოევი ნავთსადგურის მთავარ ინჟინერ ანდრონიკაშვილთან ერთად მიემგზავრება ბათუმში ფოთში, სოხუმში, გაგრაში და სხვა საზღვაო პუნქტებში ადგილობრივ საზტრანი-ის განყოფილებათა დასაარსებლად და იმ კითხვათა მოსაგვარებლად, რომელიც დაკავშირებულია ნავთ სადგურების საექსპლოატაციო, ტეხნიკურ მუშაობასთან. წვრილ ნაოსნობის გასაწევად „საზტრან"ს საკმაო სატრანსპორტო საშუალებანი მოეპოვება. ზომ ბია მიღებული საკუთარ მიწის ამოსაღებ საშვალებათა შესაძენად ზღვის სიღრმეში ფოთის ნავთსადგურში.

### მუშათა კონტროლი

სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებულ წარმოებებში დაარსდა პოლიტიკურ კომისართა ინსტიტუტი. პროფკავშირმა სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებულ წარმოებათ და კერძოთ კითამბაქოს სამრეწველო პოლიტიკურ კომისრებს დაუგზავნა შემდეგი ინსტრუქცია:

1. რათა განხორციელებულ იქმნეს მუშათა ფართო კონტროლი სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებულ წარმოებებში—საქარხნო მართველობის შექმნა—არსდება პოლიტიკურ კომისართა ინსტიტუტი.

2. პოლიტიკურ კომისრებს ნიშნავს მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობა კომპარტიის წევრებისაგან, კომფრაქციის წარმოდგენით.

3. პოლიტიკური კომისარი არის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი წარმოებაში—პასუხისმგებელია წარმოების დაცვაში და აგრეთვე მის ნაყოფიერებაში, ზრუნავს წარმოების მომარაგებაზე საჭირო ნედლი მასალით, მუშათა ძალით და საადმინისტრაციო პერსონალით.

4. კომისრის მოვალეობას შეადგენს თვალ-ყური ადევნოს იმას, რომ ნედლი მასალა, მანქანები და სხვა მასალები ეკონომიურად იხარჯებოდეს და ამავე დროს წარმოების ნაყოფიერებას ზარალი არ მიეცეს. კომისარი თვალ-ყურს ადევნებს მკაცრ დისციპლინის შესრულებას და იღებს ყოველივე ზომებს, რომ მომუშავეებმა არ გამოუშვან დღეები და საზოგადოთ არავითარი უწესოება არ ჩაიდინონ.

5. რომ მასზე დაკისრებული ვალდებულებანი ნაყოფიერათ იქნეს შესრულებული კომისარი სარგებლობს დისციპლინარულ დასჯის უფლებით, უფლების მოსპობით და თვით დატუსაღების უფლებითაც,

6. თავის მოქმედებით კომისარმა ხელი არ უნდა შეუშალოს ქარხნის კომიტეტებსა და სხვა კომისიებს, რომელიც არსებობენ წარმოებაში, პრინციპის კონტროლისა და ინსტრუქტორობის გაწევით რეგულიარულად და ინტენსიურათ ასწიოს ამ ორგანოების მუშაობა, ვინაიდან უნდა ახსოვდეს ყველას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ერთ ერთი მიზანია მუშათა ფართო მასების ჩათრევა აღმშენებლობით მუშაობაში.

7. ადმინისტრაცია, ქარხნის კომიტეტი და კომისიები მუშაობენ კომისრის ხელმძღვანელობით და თავის მოქმედების ანგარიშს აძლევენ როგორც მას, ისე მუშათა საზოგადო კრებას, მოთხოვნილებისამებრ.

8. ბოროტმოქმედ საბოტაჟის, წინასწარი მიზნით, რომ წარმოების ნაყოფიერება დასცეს და მტაცებლობა-მითვისების, შემთხვევების დროს, კომისარს ეძლევა უფლება წინასწარ გადააყენოს სამსახურიდან და გააუქმოს ადმინისტრატიული პირნი და კომისიები, რაიც უნდა ეცნობოს ამას შესახებ ყოველთვის კავშირის გამგეობას.

შენიშვნა: ასეთს ზომებს განსაკუთრებულ შემთხვევაში იღებს კომისარი თავის პირადი პასუხისმგებლობით, რომელიც მოვალეა დაუყონებლივ შესცვალოს გადაყენებული პირი შესაფერი კანდიდატით.

9. კომისარი თავის მოქმედების შესახებ ორკვირეულ ანგარიშს აძლევს სადაც ჯერ არს.

# ქრონიკა

**ამხ. ფ. მახარაძის ბაქოდან დაბრუნება.** 3 ივნისს, დილის 7 საათზე წამოვიდა ბაქოდან თბილისში საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

**წვრილი მრეწველობა.** ქიმიურ განყოფილების კოლეგიამ იქონია მსჯელობა წვრილ ქარხნების აღრიცხვის შესახებ და გადასწყვიტა: განთავისუფლებულ იქმნას აღრიცხვიდან წვრილი ქარხნები, ხოლო საპნის დამამზადებელ წვრილ ქარხნების მარტო ტეხნიკური მოწყობილება აღრიცხული იქნას. აღრიცხვიდან განთავისუფლების შესახებ დადგენილება არ ვრცელდება თაიროვის, ალიხანოვის, ტოლლეს, კირამასის, კოჩნევის და ძმ. ზასინცევიების ქარხნებზე.

**ბერძნების გამგზავრება.** მაისის 29-ის რევკომის პლენარულ სხდომაზე გაარჩიეს საქართველოში მოსახლე ბერძნების რწმუნებულთა შუამდგომლობა. ბერძნები თხოულობენ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას. რევკომმა შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მათი ევაკუაციის საქმე საერთო წესით მიანდო ცენტრალურ საევაკუაციო განყოფილებას.

**დახმარება ხელოვან მოღვაწეთ.** მაისის 29-ის სხდომაზე რევკომმა მოისმინა ქართველ მწერალთა შუამდგომლობა. კავშირი თხოულობს საორგანიზაციო საქმეებისა და დამსახურებულ ხელოვან მოღვაწეთათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროებისათვის 30 მილიონი მანეთის გადადებას. რევკომმა განათლების სახ. კომისარიატს ნება დართო დააკმაყოფილოს ხსენებული კავშირის შუამდგომლობა მის განკარგულებაში არსებულ თანხიდან.

**იუსტიციის სახალხო კომისარიატში.** იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ კოლეგიის დადგენილებით საბჭოთა საფუძველზე სას მართლოების სარეორგანიზაციოთ კომისიის შემადგენლობა 9 კაცისგან 5-ზე დააყენეს. კომისიაში შედიან: თავმჯდომარეთ ამხ. დიგუროვი და წევრებათ: მარიამ ჩხეიძე, რონინიშვილი, ჯაფარიძე და იუზბაშევი.

# ხელოვნება

### მუშათა წარმოდგენა.

მუშათა ცენტრალურ კლუბში მეთამბაქოთა კავშირის მიერ 28 მაისს გაიმართა საღამო კონცერტი. მუშა ქალთა შორის აღმოჩნდნენ არა მარტო საინტერესო, არამედ კარგი მსახიობნი, მემუსიკენიც და მგოსნებიც. საღამო დიდის ხალისით ჩატარდა. კარგა ჩაიარა აგრეთვე კონცერტ-მიტინგმა, რომელიც გამართეს სელიანოვის ფაბრიკის მომუშავეებმა.

**ქართულ სამუსიკო სასწავლებელში.** ახლა-ხან ფილარმონიულად გადაკეთებულ ქართულ სამუსიკო სასწავლებლის სამხატვრო საბჭომ დაადგინა: გაგზავნოს მოსკოვში პროფ. ზეილიგერი, რათა თბილისის ფილარმონიაში მოიწვიოს ახალი პედაგოგიური ძალები. ზეილიგერს დავალებული აქვს აგრეთვე შეიძინოს საჭირო მუსიკალური ისტრუმენტები, რომელთა უქონლობაც ხელს უშლის მუსიკალურ სკოლასთან პროლეტარულ სამუსიკო კურსების მოღვაწეობას. აამოირჩეს სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს ა. ზეილიგერისთვის სამოქმედო ინსტრუქციებს.

**პროლეტართა სამუსიკო კურსები.** საქარ. მუს. სასწავლებლის ხელოვნების საბჭომ დაადგინა: წინადადება მისცეს სასწავლებლის სამასწავლებლო პერსონალს უახლოესი მონაწილეობა მიიღოს კურსების მუშაობაში. პროლეტართა კურსებზე მისაღები გამოცდა 2 ივნისიდან დაიწყო.

**გრიშაშვილის საღამო.** ხუთშაბათს, ამაღლება დღეს, ივნისის 9-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება გრიშაშვილის ტრადიციული საღამო, დღის შესახებ პროფ. შალვა ნუცუბიძე წარმოსთქვამს შესაფერ სიტყვას, მეორე განყოფილებაში მოცეკვავე მორდკინის მიერ შესრულებული იქნება ქორეოგრაფიული „მუშპრობა". სხვათა შორის სცენაზე განსახიერდება ი. გრიშაშვილის ლექსი—„ზღაპარი გამაკში" და სხვ. მესამე და მეოთხე განყოფილებად იქნება დეკლამაცია და მუსიკა. საგანგებოდ ამ დღისთვის ახალგაზდა კომპოზიტორებმა: თამარ შავერზაშვილმა და კოტე მეღვინეთ უხუცესმა ი. გრიშაშვილის სიტყვებზე შექმნეს ახალი რომანსები. კონცერტიულ განყოფილებაში თბილისის სცენაზე პირველად გამოვა რუსეთის თეატრების ცნობილი ბარიტონი **გიორგი სიხარულიძე**, მონაწილეობენ აგრეთვე ადგილობრივი ძალები—ვანო სარაჯიშვილი, ა. ინაშვილი, ქ-ნი მეღვინეთ უხუცესისა და ცნობილი მაესტრო—მეჰანუ ალექოჰანეზიშვილი. დეკლამაციაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მსახიობ-დეკლამატორები: ალ. იმედაშვილი, მ. ჭიაურელი, ცაცა ამირეჯიბი, დონაური, ვერიკო ანჯაფარიძე, ალისა ქიქოძე და თვით გრიშაშვილი. მ. ჭიაურელი გრიშაშვილის ლექსებს წაიკითხავს—ჭიანურზე. სცენებს წაიკითხავს სახალხო სახლის მსახიობი გოცირიძე, ხოლო იუმორისტი თაგუნა წაიკითხავს ესკიზს: „გრიშაშვილის მუზა". დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ამ საღამოსთვის ბილეთები გაიყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

# პარტიული ცხოვრება

### მე-4-ხე რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება.

ოთხშაბათს 1 ივნისს, სახელმწიფო დრამატიულ თეატრის საკონცერტო დარბაზში, შესდგა მე-4 ხე რაიონის პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

კრებას დაესწრო პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ნიკო კიკნაძე, მის ამხანაგათ ამხ. კირილე ოდილავაძე; მდივნათ ამხ. რიაბოვი.

დღის წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტთან დაკავშირებული ეკონომიური კრიზისი და განადგურებული მეურნეობა.

2) პარტიულ ორგანიზაციების მშენებლობა და მისი წესი.

3) მე 4-ხე რაიკომის ორგანიზაციული მუშაობის ანგარიშები.

4) რაიკომის არჩევა.

პირველ კითხვაზე მეტად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. მალ. ტოროშელიძემ. დიდ ხანს ილაპარაკა მეურნეობის გამარტივებისა, და მისი განვითარების შინაგან თვისებებზე და სთქვა: მეურნეობას აქვს თავისი საკუთარი ბუნებრივი გეგმა; ეს გამოიხატება მეურნეობის გაერთიანებაში. მეურნეობა სწორედ ამით განსხვავდება სოციალიზმის დროს უკვე თავდაღწეულ კაპიტალიზმისაგან, რომელიც არ ითმენს გამოყოფას, დაქუცმაცებას.—შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ გარდამავალ, ძველის მომაკვდინებელისა და ახლის მშობელ ცხოვრების საფეხურებს, რომელთა საფეხურების გავლაც უხდება კომუნიზმისაკენ დაძრულ ახალ სახელმწიფოს—საბჭოთა რესპუბლიკებს და დაასკვნა: ...„აქ არის, ამხანაგებო, ორი დასაწყისი,—დასაწყისი კაპიტალიზმის დასასრულისა და დასაწყისი შობის პროცესში მყოფ სოციალიზმისა, და აი ეს ორი დასაწყისი ისე უნდა შეუთანხმოთ ერთმანეთს, ისე ფრთხილად სათუთად უნდა მოვექცეთ აქ, რომ კაპიტალიზმის დასასრულმა არ შთანთქას სოციალიზმის დასაწყისი; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ შევიგნებთ ჩვენ ამ ორ დასაწყისს, რამდენად დავიცავთ აქ მათ ბუნებას და რამდენად ვუჩვენებთ, როგორც ერთს, ისე მეორეს მათ საკუთარ, ბუნებრივ გზებს... აი დღევანდელი ჩვენი საქმე. ამას გვასწავლის პრაქტიკა განვლილი, ახალი ცხოვრებიდან მიღებული... კაპიტალისტური კვდება, სოციალისტური იბადება—აი ეს „სიკვდილის" და „დაბადების" განსაკუთრებული ხანა უნდა შევიგნოთ და კარგად გვახსოვდეს, თუ გვინდა ნაკლები ტკივილებით გამოვედეთ შვიდი წლის ომის მიერ შექმნილ საზღაპრო ეკონომიურ კრიზისიდან.

მოხსენების დასასრულს მისცეს მრავალი შეკითხვა, რაზედაც ამხ. მალაქიამ ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ამის შემდეგ კრების სურვილისამებრ გაიხსნა კამათი მოხსენებაში აღძრულ და გამუქებულ სხვა და სხვა კითხვაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ესენმა, ფიალკოვსკიმ, სოკოლოვსკიმ, ბუხშტეინმა, გ. ნუცუბიძემ, კირკუჩიანმა, აგაკოვმა, ვაგანოვსკიმ და დათიკო ნასარიძემ.

ზოგი არ ეთანხმებოდა მომხსენებლის მიერ წამოყენებულ ამა თუ იმ დებულებას და თავისი შესწორება შეჰქონდა. ზოგი კი მომხსენებელს სიტყვით ეთანხმებოდა. საერთოდ მოხსენებაში აღძრულმა მრავალმა ეკონომიურმა კითხვამ კრება ძლიერ გამოაცოცხლა [illegible] სურვილი აღუძრა მსჯელობისა, რომ კითხვის გარკვევა—განათებაში მონაწილეობა მიეღო. კრება რამდენიმე საათს გაგრძელდა, მაგრამ დაღლილობას—არავინ გრძნობდა.

კამათის დასასრულს კრებამ მოისმინა მომხსენებლის—ამხ. მალაქიას ბოლო სიტყვა, რომლითაც ყველას სათითაოდ გასცა პასუხი. ბოლო სიტყვაობა ისეთივე შინაარსიანი გამოდგა როგორც თვით მოხსენება, კრება ნასიამოვნები დარჩა რადგან უკვე გვიან იყო, კრება გადაიდო მეორე დღისთვის დარჩენილი კითხვების გასარჩევ-გადასაწყვეტათ.

### 2 ივნისი.

მეორე კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. დონენკომ. მან მკაფიოთ აღნიშნა პარტიის წევრთა ვალი, და ხაზი გაუსვა იმ დაუშვებელ გარემოებას, რომ ბევრი გაბიუროკრატებულია, რაც იმაში გამოიხატება თავისი „კაბინეტით გატაცებული საბჭოთა მუშაკი სრულიად ივიწყებს პარტიას, არ ეკარება მას.

მოხსენებამ კრება არ დააკმაყოფილა, რაც ზოგიერთმა ამხანაგმა აღნიშნა კიდეც. მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა;—რუბენმა, ობოლაძემ, ფიალკოვსკიმ, დუპინსკაიამ, ილიკო წიწივაძემ, ნიკო კიკნაძემ, ვალოდია მაშკევიჩმა, შახსუვარიანმა, ლომფანეიშვილმა და კ. ოდილავაძემ.

კამათმა მწვავე და არა სასურველი ხასიათი მიიღო.

ბოლო სიტყვაში ამხ. დონენკომ ღირსეული პასუხი გასცა ყველას.

მე 4 რაიონის განვლილ ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა, ამხ. გარდაშიანმა; რის შემდეგაც არჩეულ იქმნა რაიონული კომიტეტი.

კრების დასასრულს არჩეული იქმნენ ხუთ ივნისისათვის დანიშნული დელეგატები ქალაქის პარტიულ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ.

დელეგატთა წამოყენება არჩევა ვერ იყო წესიერათ წარმოებული, რის გამოც კრებაზე ადგილი ჰქონდა ბევრს უტაქტობას და შეუფერებლობას. საჭიროა, რომ ზომები იქმნას მიღებული, რომ შემდეგში მაინც ასეთი რამ არ განმეორდეს.

ხევსტი

### ჯუმათის თემი (გურია).

ამა წლის 8 მაისს შესდგა ჯუმათის თემის კომ-პარტიის წევრთა რაიონული კრება, რომელმაც აირჩია პარტიის წევრთა გადამსინჯველი კომისია, კომისიას ხელმძღვანელობა გაუწია გურიის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მგალობლიშვილმა. გადასინჯვაში გატარდა და პარტიის წევრებათ დამტკიცებული იქმნენ 116 წევრები პარტიისა, ახოლოდ გამორიცხული კი, 3—მათ მიერ კომუნისტისთვის შეუფერებელი მოქმედების ჩადენის გამო. 116 პარ. წევრებიდან, რომლებიც დამტკიცდა პარტიის წევრებად, 100 არის 1917 წლის თებერვლის შემდეგ ბოლ. პარტიაში მიმუშავენი, რომლებიც ვერ შეარყია თავისი რწმენიდან ვერავითარმა რეპრესიებმა და სხვა პარტიის ზეგავლენის მოხდენის ცდამ. მეორე დღეს ე. ი. 9 მაისს ამხანაგებმა გ. მგალობლიშვილმა კრებას გააცნო: როგორ მდგომარეობაში იმყოფება დღეს ჩვენი პარტია, როგორი იმედები უნდა გვქონიოთ საბოლოო გამარჯვების მიხწევაზედ, როგორი შეგნებით და ნებისყოფით უნდა იყოს გამსჭვალული თვითეული პარტიის წევრი და საყველა ერთად, რომ მივახწიოთ მიზანს, როგორ უნდა იყოს მოწყობილი იაჩეიკები და ორგანიზაციები და რას უნდა აკეთებდენ ისინი, როგორი ცოდნას და მტკიცე ნებისყოფის ამხანაგები უნდა განაგებდენ მათ, როგორი პირიქვნებები უნდა იყვენ არჩეული კომიტეტებში და რას უნდა აკეთებდენ უკანასკნელნი. ყველა ამაების მოსმენის შემდეგ, კრებამ საჭიროდ სცნო მოეხდინა ძველი კომიტეტის რეორგანიზაცია და აირჩია ახალი, რომელმაც მიიღო ამხ. გ. მგალობლიშვილიდან ინსტრუქცია შემდეგი მათი მოქმედებაზედ. კრება დიდი კმაყოფილი და აღფრთოვანებული დარჩა ამხ. მოხსენებებიდან და ერთხმათ დაადგინა: უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ თავისი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად და გასაფართოვებლად, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი პარტიის ბელადები, ბურჟუა - კაპიტალისტებთან ბრძოლაში გამობრძმედილნი, მიიყვანენ გაყვლეფილებს და ჩაგრულთ საბოლოო გამარჯვებამდის.

გ. დოლიძე.

### სოფ. ქვემო-ჭალადიდის კომუნისტთა კრება.

1921 წ. 13 მაისს შესდგა კომპარტიის კანდიდატთა საგანგებო კრება სოფ. ქვემო-ჭალადიდში, დაესწრო 18 კაცი კანდიდატი. კრების თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ამხ. არტემი ქირქია, მდივნათ სიმონი ჭოჭუა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სა აზრო ინსტრუქტორის. 2. რევკომის არჩევნები, 3. პარტკომის წევრების არჩევნები, 4. პარტიულ ამხანაგთა ვარჯიშობა და მათი ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილის არჩევა, 5. შაბათობა, 6. საბჭოთა მოსამსახურეების ეკონომიურათ დაკმაყოფილება, 7. წისქვილების საკითხები, 8. უპატრონოდ დარჩენილი ქონების რეგისტრაცია, 9. ბორების შესახებ. 10. სახელმწიფო სახლების შეკეთება, 11. სოციალური უზრუნველყოფის საკითხი, 12. მილიციონერების შესახებ, 13. ზარალის შეფასება, 14. პარტიული დისციპლინა, 16. კულტურულ განმანათლებელი კომისიის დაარსება.

1. ინსტრუქტორ ა. ოჩიგავას მომენტის შესახებ მოხსენების გამო კრებამ ერთხმად დაადგინა: მივესალმებით საქართ. ს. ს. რ. და მუშათა კლასის მეთაურებს ამხ. ცხაკაიას და ფ. მახარაძეს, სალამი მსოფლიო პროლეტარებს; ფიცს ვსდებთ, რომ ვიმუშაოთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე კომუნისტური ცხოვრებისათვის.—გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

2. რევკომის წევრთა შესახებ კრებამ დაადგინა: თავმჯდომარე, როგორც მთავრობიდან დანიშნული, რჩება თავის თანამდებობაზე. პასუხის მგებელ მდივნად გრიშა გაბისონია, ადმინისტრატორად დიმიტრი ჭოჭუა.

3. პარტკომის შემადგენლობა ასეთია: ამხ. ივანე ტაბილუა, ევგენი ღვამიჩავა და პასუხისმგებელი მდივნად ამხ. გიორგი ქვარცხია.

4. პარტიულ ამხანაგების ვარჯიშობა და მათი ხელმძღვანელობის შესახებ დადგენილ იქნა: ყოველ კვირაობით პარტიის ყველა წევრებმა გაიწიონ სამხედრო ვარჯიშობა; ხელმძღვანელად აირჩია გრიშა გაბისონია.

5. შაბათობის შესახებ კრებამ დაადგინა, ხშირად მოაწყოს ასეთი და გამომუშავებულ იქნას მუშაობის გეგმა.

6. საბჭოთა მოსამსახურეებს ეკონომიურად დაკმაყოფილების შესახებ დადგენილ იქნა: გამოკვლეულ იქმნას მოსამსახურეების ოჯახური მდგომარეობა მიეცეს თვით მუშას თითო ფუთი, მათ ოჯახის წევრებს ნახევარი ფუთი სიმინდი თვიურათ.

7. წისქვილების საქმეთა გამო არჩეულ იქნა: წისქვილების ჩამბარებელი სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. წისქვილები გადადის საზოგადო ქონებათ. კომისია შესდგება: 1. სიმონ ჭოჭუა, 2. დიმიტრი ჭოჭუა და 3. მათია დემანია.

8. პარტკომმა დაადგინა მოახდინოს უპატრონოდ დარჩენილი ქონების რეგისტრაცია, რაც დაევალოს ერთი რევკომის წევრს და პარტკომის წევრს.

9. ბორების შესახებ კრებამ დაადგინა, დაევალოს რევკომს აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ქვ. ჭალადიდში დაარსდეს ერთი ბორანი შუა ადგილზე.

10. სახელმწიფო სახლების შეკეთების შესახებ კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიანდო ამ საკითხის გამორკვევა.

11. დადგენილია განსაკუთრებულ ყურადღება მიექცეს სოციალურ უზრუნველყოფას.

12. რევკომს დაევალოს მისცეს დარიგება და აუხსნას მოვალეობა მილიციონერებს და მათ უფროსს, რომ მათი მოვალეობა აასრულონ წესიერათ და დაიცვან საბჭოთა რეჟიმის პრესტიჟი.

13. დაევალოს კომისიებს ზარალის ანაზღაურების საქმე დაჩქარებით გადაარჩიოს და გადააგზავნოს სადაც ჯერ არს.

14. პარტიის დისციპლინის შესახებ დადგენილ იქმნა: თუ პარტიის წევრი უპატიო მიზეზით კრებას არ დაესწრო ან მისი მოქცევა არ შეშვენის პარტიულ ამხ., ასეთი წევრი განდევნილი იქნება პარტიიდან და გადაეცემა საამხანაგო სასამართლოში.

15. არჩეულ იქნა კულტ.-გან. კომისია სამი კაცისაგან: 1. გოლა ბაბილუა, 2. სიმონი ჭოჭუა და 3. გრიშა გაბისონია.

კრების თავმჯდომარე: არტემი ქორქია
მდივანი: სიმონი ჭოჭუა.

## პროფესიონალურ კავშირებში

### მჩითავთა კავშირში

კავშირის გამგეობამ მიანდო ამხ. აბრამოვიჩს შეიმუშაოს წესები ქარხნებში დისციპლინის დასამყარებლად. პროვინციაში კავშირების მოწყობის შესახებ დადგენილია ეთხოვოს პროფკავშირის საბჭოს საორგანიზაციო საინსტრუქციო განყოფილებას გაგზავნოს პროვინციაში სამი ინსტრუქტორი.

## პროვინციაში

### შაბათობა და კვირაობა ქ. ზესტაფონში.

ქ. ზესტაფონის სამაზრო პარტკომის დადგენილებით შაბათობა უნდა გატარებულიყო 14 მაისს და გატარდა კიდეც. იღებდა მონაწილეობას 79 კაცი.

შაბათობა დაიწყო დღის 12 საათზე. დანიშნულ დროს პარტიული ამხანაგები მთელი შემადგენლობით ვიმყოფებოდით პარტიულ ბიუროში. აქედან ინტერნაციონალის სიმღერით გამოვეფინეთ ქუჩაზე. აქ შემოგვეგება სხვადასხვა მოსამსახურენი და მსურველი მოქალაქენი, რომლებთან ერთად გავედით სამუშაოზე ადგილობრივ დეპოს მახლობლათ, სადაც რკინის გზის მრავალრიცხოვანი მუშები დაგვხვდენ. დღის 1 საათზე მთელი მუშები პირველ რიგში შეუდგით ლიანდაგის გაწმენდას ქვანახშირის ნამწვავისაგან. ამ მუშაობაში პირველ რიგში იდგა და დიდ როლს თამაშობდა ახალგაზრდა კომუნისტები. მომუშავეთა რიცხვში შედიოდნენ როგორც მამაკაცები ისე ქალებიც. 4 საათის ენერგიულათ მუშაობის შემდეგ დატვირთულ იქნა 20 ვაგონი ნამწვავი ქვანახშირით, რომელიც გადმოვტვირთეთ კიდეც ქალაქზე მოშორებით. მუშაობის დამთავრების შემდეგ ინტერნაციონალის სიმღერით მოვედით ქალაქში, პარტიულ ბიუროსთან, სადაც დავიშალეთ საღამოს 9 საათზე.

კვირას დილის 9 საათზე უნდა გავსულიყავით სათახარში ს. საქარის სანერგეში. (სამი ვერსის მანძ. ქ. ზესტ.) დანიშნულ დროს 100 მუშა წითელი დროშით გამოვედით პარტ. ბიუროდან. მუსიკა უკრავდა ინტერნაციონალს. მხიარულით ჩავედით დანიშნულ ადგილას, და სამუშაო იარაღებით ხელში მოვეფინეთ ვენახს. იქაც 4 საათის მუშაობით გავთოხნეთ ნახევარი დესეტინა ვენახი, შემდეგ მუსიკით ინტერნაციონალის სიმღერით გავემართეთ ზესტაფონში. ეს იყო ჩვენი პირველი შაბათობა და კვირაობა, მომავალში მეტის ენერგიით და მუშაობით შეუდგებით შაბათობის და კვირაობის მოწყობას.

დუტუშა.

—

### ს. კინჩხა.

15 მაისს 1921 წ. კინჩხის საზოგადოებაში შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო ათასამდე ქალი და კაცი. მოხსენება გააკეთა სენაკის მაზრის რევკომის თავმჯდომარემ ამხანაგ სამსონ მამულიამ მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას მიზეზი საქართველოში რუსეთის წითელი არმიის შემოსვლისა, კომუნისტური პარტიის პროგრამა და საბჭოთა წყობილების სისტემა მენშევიკურ პარტიასთან და დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შედარებით; აგრეთვე გააცნო საზოგადოებას მიმდინარე მომენტი და გაფანტა ის პროვოკაცია, რასაც მენშევიკები ავრცელებდენ კომუნისტების წინააღმდეგ, რის შემდეგ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია. ჩვენ კინჩხის საზოგადოების მშრომელი მასა დარწმუნებული ვართ, რომ ერთად ერთი პარტია და მთავრობა, რომელიც მუდამ დარაჯად უდგა, და აწიც დაუდგება მშრომელთა ინტერესებს, არის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

მხურვალედ მივესალმებით საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მუშურ-გლეხურ საბჭოთა მთავრობას. ზიზღს უცხადებთ მენშევიკურ პარტიას და ყოფილ მენშევიკურ მთავრობას, რომელმაც სამი წლის განმავლობაში აწყუა საქართველოს მშრომელი ხალხი და უკანასკნელად გაძარცვა და გაანადგურა მთელი საქართველო.

მივესალმებით აგრეთვე რუსეთის ძლევამოსილ წითელ არმიას, რომელმაც გაგვათავისუფლა ჩვენ მენშევიკების ულლისაგან.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მის მუშურ გლეხურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა ბელადს ამხანაგ ლენინს!

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ რევოლიუციას!

მიტინგის თავმჯდომარე პ. ჩაგუნავა.

—

### ს. ხეთა.
(ზუგდიდის მაზრა).

ეს სოფელი ითვლება მთელ ზუგდიდის მაზრაში, ერთ საუკეთესო და შეგნებულ სოფლად. ეს სოფელი ბუნებრივათ არის შემკული და თვით მდებარეობა იქცევს ადამიანის დიდ ყურადღებას. ინტელიგენტური ძალები საკმარისია. აქ არსებობდა და არსებობს სხვა და სხვა კულტურული და სახელმწიფო დაწესებულებები, რომელნიც ჯეროვან სიმაღლეზე დგანან. არსებობს დრამატიული საზოგადოება, რომლისთვის ხელი არ შეუწყვია არც ნიკოლოზის და არც ყოფილ მენშევიკების მთავრობას, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის მუშურ გლეხური მთავრობა მაინც ხელს შეუწყობს ამ დიად საქმეს. საკუთარი სახლის უქონლობის გამო გვიხდებოდა წარმოდგენის დადგმა ადგილობრივ სკოლის დარბაზში, რის ნებართვას დიდი ვაი ვაგლახით ვშოულობდით სკოლის გამგე ამხ. ვ. კობახიძის დახმარებით. ხეთის თემში არსებობს ამა წლის 10 მარტიდან რევკომი და პარტკომი, რომლის წევრები ბეჯით მუშაობას ეწევიან, კერძოდ სახალხო განათლების საქმეში დიდათ დაინტერესებული არიან და მზათ არიან არ დაზოგონ ლონე დრამატიული საზოგადოების ფეხზე დაყენებაში და მის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. განსაკუთრებით თანაუგრძნობს ამ დიად საქმეს პარტკომის თავმჯდომარე ამხ. ვასილი, მ. ბუკია. ეჭვი არ არის, რომ ადგილობრივი დრამ. საზოგადოება ადგილობრივ ორგანოების საშვალებით გააძლიერებს თავის მოქმედებას მშრომელთა საკეთილდღეოთ.

„ნაისებუს-პ. რელი".

—

### 26 მაისი მარტვილში.

26 მაისს ა. წ. დ. ნაოლეევში გაიმართა გრანდიოზული მიტინგი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღსანიშნავათ. მიტინგის თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. ვ. დადებაძე, მდივნათ ამხ. დ. გაბისონია. საქართველოს დამოუკიდებლობის და 26 მაისის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. გაბისონიამ და ამხ. ი. მონიავამ. მრავალრიცხოვანი მიტინგი გულდასმით უსმენდა ორატორებს, რომლებმაც გასაგებათ და მკაფიოთ ახსნეს ყოველივე. გამოტანილი იქნა ერთხმათ შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ვაღიარებთ რომ დღემდის საქართველო დამოუკიდებელი სინამდვილეში არ ყოფილა, მხოლოთ მისი დამოუკიდებლობა გაიძვერა და მოღალატე მენშევიკების მხრივ გამოიხატა საქართველოს ჩამოშორებაში რუსეთის რევოლიუციონერ პროლეტარიატისაგან და ჩავარდნაში დასავლეთ ევროპის მტაცებელ კაპიტალისტების ბრჭყალებში, რომლებიც ფეხქვეშ თელავდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მის ინტერესებს, თავისი იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლათ. დღეს კი მუშურ და გლეხური საქართველო ნამდვილათ დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, რის გამოც ჩვენ მარტვილის რაიონის მცხოვრებნი დიდის აღფრთოვანებით ვესალმებით საქართველოს მუშურ და გლეხური სოციალისტურ რესპუბლიკის ნამდვილ დამოუკიდებლობას, ევროპის მტაცებელ ბურჟუაზიისაგან, რომელიც მან მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მამაც წითელ ლაშქრის დახმარებით 1921 წლის 26 თებერვლიდან.

გაუმარჯოს ჭეშმარიტად თავისუფალ მუშათა და გლეხთა საქართველოს.

ხუნწელი მუშა.

—

### დ. აბაშაში.

26 მაისობა. დღის 12 საათია. აბაშის რაიონის სხვა და სხვა კუთხიდან წითელი დროშებით ხელში, რევოლიუციონური სიმღერებით, მწყობრათ შემოდიან აბაშაში შეიარაღებული კომუნისტური რაზმები, რომლებსაც ვერ იტევს პარტკომის წინ მდებარე მოედანი და ამიტომ მწყობრადვე, ნაწილ ნაწილად ამხ. ე. კაჭარავას მეთაურობით გადადიან აბაშის უმაღლეს დაწყებ. სასწავლებლის წინ უფრო ფართე მოედანზე, სადაც მათგან ეწყობა ბათალიონზე მეტი რაზმი. ოთხ-მწკრივად დაწყობილი ამხანაგები დაძახილზე და მუსიკის ხმაზე დაიძრა ადგილიდან და გრძელი რიგით გაემართა სამიტინგო მოედნისაკენ; ამათთან ერთად 100-მდე შეიარაღებული ახ. კომ. კავშირის რაზმელები და უიარაღო ქალ ვაჟნიც. რომელ კომუნისტს აღტაცებით არ აუძგერებდა გულს ეს დიდებული სურათი, ან რომელ მტრისათვის არ იქნებოდა თავზარ დამცემი თვალ-უწვდენელი ტყე თოფებისა, მის ზევით აფრიალებული წითელი დროშები და ყოველივე ეს ჩვენი ამხ. გლეხების დაკოჟრილ ხელებში. აი, ასეთმა შემადგენლობამ მწყობრად გაიარა დაბის მთავარ ქუჩაზე, შეჩერდა ტრიბუნის წინ, რომელსაც ამშვენებდა საგანგებოდ ამ დღისათვის დამზადებული საბჭოთა საქართველოს ახალი ღერბი და პლაკატები სათანადო გამოხატულებით და წარწერით. რა მშვენიერია ზეიმი გამარჯვებულთა, რა დიდებულია ჩვენი მუშური ემბლემა. მის გვერდში მოფრიალე წითელი დროშებით და გარშემორტყმული ჩვენი ბედნიერების და რაჯებით—რაიონის საუკეთესო შვილებით, რომელთა სახის გამომეტყველება გვიმტკიცებს, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დაიცავენ საქართველოს მუშათა კლასის წმინდათაწმინდას.

აი, ასეთი ბედნიერი წუთების განცდის დროს კრებას ხსნის რაიონულ პარტკომის სახელით ამხ. მამ. კაჭარავა. ტრიბუნასთან დ. გოგიბავას ლოტბარობით დასჭქა ინტერნაციონალი ადგილობრივმა მომღერალთა გუნდმა, რომლის დროს შეიარაღებული კომუნისტები დგებიან სალამზე.

პირველად სიტყვას იღებს ამხ. მამ. კაჭარავა, რომელიც აცნობს კრებას 26 მაისის ისტორიას, ადარებს მენშევიკების დროს 26 მაისებს დღევანდელს, რომელსაც დღესასწაულობს საქართველოს მუშათა კლასი, როგორც მისი ნამდვილად განთავისუფლების დღეს ევროპის მტაცებლობის და მათი ლაქია მენშევიკების ლანჭებისაგან. ბედნიერი საქართველოს მუშათა კლასი დღეს თავის დედა ქალაქში ძეგლს უდგამს მუშათა კლასის უდიდესი მასწავლებელს, კარლ მარქსს; ძეგლს დგამს საქართველოს განთავისუფლების აღსანიშნავად და ძეგლს უდგამს ქართულ მწერლობის სიამაყეს შოთა რუსთაველს. ყოველივე ის, რაც ვერ შესძლეს მენშევიკებმა სამი წლის განმავლობაში პოლიტიკურ, ეკონომიურ და ნაციონალური საკითხების მოსაგვარებლად, ერთი დაკვრით გადასჭრა კომუნისტურმა პარტიამ და სხვა...

შემდეგ სიტყვას იღებს სამხედრო კომისარი ურიცკი, რომელმაც დაასურათა ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. დასასრულ ხაზი გაუსვა მენშევიკების ნაციონალისტურ-შოვინისტურ პოლიტიკას, მიმართულს საქართველოს საზღვრებში მოქცეულ პატარა ერების წინააღმდეგ და კომუნისტების ინტერნაციონალურს,—სადაც ყოველ ერს უფლება ეძლევა მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც მას სურს.

შემდეგ ახ. გაზრ. კომ. კავშირის სახელით ილაპარაკა გ. ფრანკიშვილმა, რომელმაც აღნიშნა მუშათა კლასის მოღალატური ბურჟუაზიული საქმიანობა და შოვინისტური პოლიტიკა.

სიტყვას იღებს ამხ. პეტრე ნადარეიშვილი, რომელმაც აღნიშნა მენშევიკების კავშირი კონტრ-რევოლიუციასთან და საერთოდ მათი ანტი მუშური პოლიტიკა. ი. კვანტალიანმა მოუწოდა მენშევიკებს, მაგრამ მსურველები ვერ აღმოჩნდენ. უკანასკნელად ილაპარაკა ისევ ამხ. მამანტი კაჭარავამ აუხსნა ხალხს, რომ მენშევიკების დამარცხება საბოლოოა და კომუნისტების გამარჯვება შეურყეველი.

დასასრულ განმარტა ჩვენი ახალი ღერბის მნიშვნელობა და განაცხადა, რომ ამას უკანასკნელი სისხლის წვეთამდის დაიცავს საქართველოს წითელი ჯარი, კომუნისტები და მუშათა კლასი, ხოლო საჭირო დროს ჩვენთან იქნება მძლეთა მძლე ლაშქარი მესამე ინტერნაციონალისა, გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

კრება დაიხურა ინტერნაციონალით და ნასიამოვნები საზოგადოება იშლება. საღამოს გაიმართა წარმოდგენა. დადგეს „და ძმის" ორი უკანასკნელი მოქმედება. ჩვეულებრივად წარმატეცი იყო ბეჟა ჯაიანის ასული მარინეს როლში. კარგი იყო ძ. მიმინოშვილიც გაიოზის როლში. დივერტისმენტიც კარგად ჩატარდა.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22,

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ. 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევში", ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო— ...ლის ქ. № 67. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ...ზარი, კამეთის მოედანი. 5—53.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—...ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—12

მე-5-ეთ რაიონის ბიურო—...ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

## განცხადებანი


სხვა და სხვა

### დაიკარგა

ქ. ზუგდიდში მგზავრობის დროს ქალაქში ამ წლის 15 მაისს პარტიული მანდატი ინსტრუქტორის ქალთა ორგანიზაციების მოსაწყობათ, მიცემული საქ. კომ. პარტ. ც. კ. ქალთა განყოფილებისგან. ამასთან ერთად დაიკარგა 20 ათას მანეთამდი ფულიც. მანდატი გაუქმებულად ითვლება. საქ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი ანეტა კალაძე.

რკინის გზების საამშენებლო და ელექტროფიკაციის განყოფილებისათვის საჭიროა გამოცდილი ტეხნიკოსები და საგზაო საქმის სპეციალისტები ცნობისა და პირობებისათვის მიმართონ ელისაბედის ქ. № 73 12—2 საათამდე.

განყოფილების უფროსი ინჟინერი ა. კაციტაძე.

## ოზურგეთის სამაზრო რევკომის იუსტიციის განყოფილება

იწვევს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ და გამოცდილ პირთ მომრიგებელ მოსამართლეთა, მბრალმდებლის და გამომძიებლის თანამდებობებზე.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით ქ. ოზურგეთში იუსტიციის განყოფილების გამგეობას, რომელსაც უნდა წარუდგინონ განათლების და ნამსახურობითი საბუთები.


## ლექცია-მიტინგები

განათლების სახ. კომისარიატის საბიბლიოთეკო სკოლებო განყოფილება აწყობს ლექცია-მიტინგებს სარაიონო მუშათა კლუბებში, გასწევენ იმის აგიტაციას, რომ საჭიროა უსწავლელობის ლიკვიდაცია, მარქსიზმის ძირითადი დებულების შესწავლა და საუბარი თემაზე: თეატრის და სტუდიის როლი—კლუბებში, თან ხმად შემდეგი განაწილებისა: მარქსიზმზე და წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობაზე.

ოთხშაბათი 8 ივნ. კომ. ახალგ. კლუბი (ბოლგ. ქ.)
ხუთშაბათი 9 ივნ.—კომ. ახალგ. კლუბი (ბეჟუთ. ქ.)
პარასკევი 10 ივნ.—კომ. ახალგ. კლუბი (მუშტაიდი).

თეატრის და სასტუდიო მუშაობის მნიშვნელობაზე.

ხუთშაბათი 9 ივნ.—კომ. ახალგ. კლუბი (მუშტაიდი).
პარასკევი 10 ივნ.—კომ. ახალგ. კლუბი (ჰრენალის რაიონი).

ლექცია-მიტინგების დასაწყისი 6 ნახ. საათზე საღამოს.

## ცირკულიარი ყველა პროფ. კავშირებს და კავშირთა ბიუროებს.

# ინსტრუქცია

### საქართველოს პროფკავშირთა კონფერენციის მოწვევის შესახებ.

1) ს. პ. კ. ს. პლენუმის დადგენილების თანახმად 1921 წლის ივნისის 10-ს ტფილისში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ საწარმოო კავშირების კონფერენცია, რომლის მიზანს შეადგენს საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნილ საქართველოს კავშირების მიზნების დეტალურათ შესწავლა და დასახვა საქართველოს მუშათა კლასსა და რუსეთის და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს შორის კავშირის განმამტკიცებელ გზისა.

2) კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობისათვის საჭიროა ეხლავე მოეწყოს ადგილობრივ ფართო მუშათა კონფერენციები, რომელზედაც უნდა განხილულ იქნას სრულიად საქართველოს კონფერენციის დღის წესრიგი, და არჩეულ იქნეს დელეგატები.

3) დელეგატთა არჩევნები ხდება შემდეგი წესით.

ა) ცალკე საწარმოო კავშირები იწვევენ საზოგადო კრებას, ან კონფერენციას, სადაც ირჩევენ დელეგატებს.

ბ) იმ მაზრებში სადაც შეუძლებელია არჩევნების მოხდენა საწარმოო კავშირებში, იწვევენ ყველა კავშირების კონფერენციას და ახდენენ არჩევნებს ნორმების მიხედვით, ასევე უნდა მოხდეს სეკრეტარიატებშიაც.

4) წარმომადგენლობის ნორმები: კავშირები, რომლებშიაც 300-დან 500 წევრამდეა ირჩევენ ერთ წარმომადგენელს და ყოველ 500 წევრზე—თითოს.

შენიშვნა: კავშირები, რომლებშიაც 3,00 ნაკლები წევრი ითვლება უნდა დაშენერთდნენ ერთად მოახდინონ დელეგატების არჩევნები.

5) სარაიონო პროფსაბჭოები საერთო არჩევნების გარდა გზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით, სამაზრიუროები გზავნიან თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

### კონფერენციის დღის წესრიგი.

1) საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა საქართველო
2) ს. პ. კ. ს. მოხსენება (ანგარიში).
3) მოხსენება ადგილებიდან.
4) კავშირთა საორგანიზაციო მიზნები.
5) მოხსენება სატარიფო პოლიტიკის შესახებ.
6) სამეურნეო (სახ. მეურნ. საბჭო) შესახებ.
7) პროფკავშირების როლი და მონაწილეობა წარმოებაში.
8) სასურსათო კომისარიატის მოხსენება.
9) შრომის საკომისარიატოს.
10) მოხსენება კავშირთა კულტგანყოფილების მუშაობის შესახებ.
11) პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების შესახებ.

ყველა დელეგატებს უნდა ქონდეთ ოქმი მათი არჩევის შესახებ. შემოწმებული სარპროფ საბჭოს სამაზრიუროს მიერ.

ეძლევა წინადადება სარპროფ საბჭოს, სამაზრიუროს და სეკრეტარიატებს წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში თავის მუშაობის შესახებ.

საქ. პროფკავ. კონფერ. მომწვევი ბიურო: ოდილავაძე, ყურულიშვილი, გაშაკიძე.

ტირაჟი 5000
საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4